გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი

roland.jalagania@mail.ru

№342 (401) 1-8 დეკემბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## გაზეთ "ილორის" ავტორთა საყურადღებოდ!

ჩვენგან დამოუკიდებელი და გაურკვეველი მიზეზების გამო მოხდა გაზეთის ვებ-გვერდის დაბლოკვა, რის მიზეზადაც საიტის ადმინისტრაცია ასახელებს უნებართვო შეღწევის მცდელობას.

აღნიშნულის გამო შეიცვალა ჩვენი ელექტრო-ფოსტის მისამართი და 2015 წლის 28 ოქტომბრიდან იგი იქნება:

roland.jalagania@mail.ru

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება

## ალექსანდრე ჭაჭია: რას ხვდება პუტინი და რას უნდა მიხვდეს სააკაშვილი?

...მითია ის, თითქოს შევარდნაძემ ავღანეთიდან ჯარები გამოიყვანა, გერმანია გააერთიანა, საბჭოთა კავშირი დაშალა და ა.შ. ეს ყველაფერი ბლეფია. არსებობს პოლიტბიუროს სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ პოლიტბიუროს მხოლოდ ორი წევრი — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე და უშიშროების მინისტრი კრიუჩკოვი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას...

გვ.2

## იგორ კეკელია: ღირებული ეთნოგრაფიული ნაშრომი სამეგრელოზე

ავტორის ცნობით, წალენჯიხის რაიონის სოფლებში აღინიშნებოდა დღესასწაულები, რასაც მსხვერპლშეწირვაც ახლდა. მათ შორის ასახელებს სანწკელოს და წერს, რომ ნწკელ-ღვთაებასთან დაკავშირებით მასალა მოპოვებული არ არის, მაგრამ ირკვევა, რომ სანწკელოს იხდიდნენ შემოდგომაზე.

გვ.3



## დავით ქობალია: ასეთი ბუნებრივი მინდა, ჩემი სამშობლო და მისი მომავალი!

გვ.6

## კუკური ფიფია: მეგრული (იბერიული) ენის ფენომენი

როცა ჩვენმა უძველესმა წინაპარმა დაინახა, რომ ველური ცხოვრების წესი, რომელიც მანამდე ჰქონდათ, დამღუპველია, გადააბიჯა ველური ცხოვრების ზღვარს და გაიაზრა, რომ ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად აუცილებელია საკუთარი შრომითა და ენერგიით, სხვებისთვის ზარალის მიუყენებლად, დაიკმაყოფილოს საკუთარი ადამიანური მოთხოვნები და თუ ასეთი ცხოვრების წესი საყოველთაო გავრცელებას ჰპოვებდა, საზოგადოება ბედნიერებას მოიმკიდა.

გვ.4



## კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია)

"ამირანდარეჯანიანსა", "ვისრამიანსა" და "ვეფხისტყაოსანში" გამოსახულია მაშინდელი მსოფლიოს მოარული იდეები და პრინციპები; "ვეფხისტყაოსანში" ჩვენ ვხედავთ არა მარტო მანის მოძღვრებას, არამედ მიტრას, დიონისოს და აპოლონის კულტებსაც, აღმოსავლეთის კოსმოლოგიურსა და ასტრონომიულ იდეებს, არაბეთის ზნეობრივ ფილოსოფიას და ქართული ფეოდალური არისტოკრატიის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ მსოფლშეგრძნებას.

გვ.7



## 8 ნოემბერი ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეა

გვ.5



გვ.6

## სერგი დანელია

აღსანიშნავია სერგი დანელიას ნაშრომები გრიბოედოვისა და პუშკინის ნაწარმოებთა ფილოსოფიის შესახებ, ჩერნიშევსკის ესთეტიკის შესახებ და სხვა. იგი ლექციებს ატარებდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში პუშკინის, გრიბოედოვის, ბელინსკის, ლევ ტოლსტოის, სალტიკოვ-შჩედრინის და სხვათა შემოქმედების შესახებ.

# რას ხვდება პუტინი და რას უნდა მიხვდეს სააკაშვილი?

ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან დაიბეჭდა გაზეთში „ასავალ-დასავალი“ №47 (637), 20-26, ნოემბერი 2006 წელი

**– ცხინვალში ჩატარებულ არჩევნებს როგორ შეაფასებთ, რა მოხდა შიდა ქართლში 12 ნოემბერს?**

– მე გახლავართ რეალური პოლიტიკის და არა აბსურდის ან პიარის მომხრე. რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოხდა, ასე რეალური პოლიტიკა არ **„კეთდება“**. გაუგებარია, ვის და რა ნიშნით უჭერდა მხარს საქართველოს ხელისუფლება. თუ ე.წ. პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატს თბილისი ზურგს უმაგრებდა, ე.ი. ჩვენ ვაღიარებთ **„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“?..** ვიმეორებ, რეალური პოლიტიკა ასე არ **„კეთდება“.** მე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მჭირდება არა როგორც მსოფლიოს მიერ აღიარებული განუყოფელი ნაწილები საქართველოსი, არამედ რეალური და სისხლხორცეული, ისტორიული ნაწილები ჩემი ქვეყნისა. სამწუხაროდ, ვხედავ, რომ მსგავსი პიარით და აბსურდის თეატრით ეს ტერიტორიები რეალურად ვერ იქცევიან საქართველოს განუყოფელ ნაწილებად.

პიარისთვის შექმნილი კოდორის ხეობის მთავრობა და ლიახვის ხეობის მთავრობა საქმეს არ შველის. ირონიულ ღიმილს კი იწვევს...

**– ბატონო ალექსანდრე, შევარდნაძემ ჩვენს გაზეთს უსაყვედურა – ჩემზე ჭორებსა და არარსებულ ამბებს ავრცელებთო...**

– შევარდნაძემ და მისმა ახალგაზრდა გარემოცვამ, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, საერთაშორისო ძალების მხარდაჭერით შევარდნაძის გარშემო მთელი მითოლოგია შექმნეს. მითია ის, თითქოს შევარდნაძემ ავღანეთიდან ჯარები გამოიყვანა, გერმანია გააერთიანა, საბჭოთა კავშირი დაშალა და ა.შ. ეს ყველაფერი ბლეფია. არსებობს პოლიტბიუროს სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ პოლიტბიუროს მხოლოდ ორი წევრი – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე და უშიშროების მინისტრი კრიუჩკოვი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას. პოლიტბიუროს სხდომაზე გორბაჩოვი ამბობს: – „Для меня неприемлем ястребный клекот Шеварднадзе“!

შევარდნაძე რომ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი არასოდეს ყოფილა, დღევანდელი საქართველოს მდგომარეობაა ამის დასტური. დღემდე მახსოვს ფოთის შესასვლელთან გამოკრული უზარმაზარი ტრაფარეტი, რომელსაც შევარდნაძის ხელმოწერა ამშვენებდა – **„2000 წელს საქართველო იქნება ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, აყვავებული ქვეყანა!“** როგორც ვხედავთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. შევარდნაძე იბრალებს, თითქოს მან იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის დაშლა. თუ გახსოვთ, ვიდრე საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, 20 დღით ადრე შევარდნაძე დაბრუნდა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. ე.ი. კაცი აზრზე არ იყო, თუ რა პროცესები მიდიოდა და როდის დაიშლებოდა ეს ქვეყანა. მინდა, გაგახსენოთ შევარდნაძის გამოსვლა რუსეთის ტელევიზიის პირველი არხით მოსკოვიდან ზვიადის პრეზიდენტობის დროს, როცა მან თქვა – **„ის, რაც დღეს სამხრეთ ოსეთში ხდება, ეს არის ოსი ერის გენოციდი“!** რატომღაც ეს სიტყვები დღეს არავის ახსოვს. არადა, დღეს, როცა ოსები საერთაშორისო საზოგადოებას მიმართავენ, – ქართველებმა გენოციდი მოგვიწყვესო, შევარდნაძის სიტყვებს იმოწმებენ, – ამას ისეთი დიდი დემოკრატი აღიარებდა, როგორიც შევარდნაძე გახლავთო!.. რაც შეეხება გერმანიის გაერთიანებას, ამ პროცესში, რა თქმა უნდა, მთავარი როლი გორბაჩოვს ეკისრებოდა... ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი შულცი თავის მოგონებებში წერს – გაოცებული ვიყავი გორბაჩოვისა და შევარდნაძის აბსოლუტური არაკომპეტენტურობით საგარეო პოლიტიკის საკითხებშიო!.. არ დაგავიწყდეთ, ეს შევარდნაძის **„მეგობრის“** – შულცის სიტყვებია. კანცლერი კოლი მზად იყო, 100 მილიარდი მარკა გადაეხადა გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ. კოლს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის თანხმობა ჰქონდა, რომ მოლაპარაკებების პროცესში, შესაძლოა, ეს თანხა 200 მილიარდამდე გაზრდილიყო. გორბაჩოვი და შევარდნაძე იმაზე დათანხმდნენ, რომ გერმანიიდან 10-მილიარდიანი შეღავათიანი კრედიტი აეღოთ... გაოგნებული გერმანელები თვალებსა და ყურებს აღარ უჯერებდნენ.

**– მაგრამ იმასაც ამბობენ, თითქოს გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ, გორბაჩოვმა და შევარდნაძემ ათეულობით მილიარდი ჩაიჯიბეს ქრთამად!..**

– რა მოხდა და ვის რამდენი ერგო ე.წ. პრეზენტის სახით, ვერაფერს გეტყვით. საქართველომ შევარდნაძის მმართველობის წლებში განიცადა ისეთი ტრაგედია, რომელიც ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს. საქართველო თავისი არსებობის მანძილზე ძალიან მცირე ხნით თუ იყო ერთიანი ქვეყანა, ჩვენ ძირითადად სულ დაშლილი ვიყავით, მაგრამ ქართლიც, კახეთიც, იმერეთიც, სამეგრელოც, აფხაზეთიც... ყოველთვის ქართული სამეფოსამთავროები იყო, სადაც ყველგან ქართული მოსახლეობა, ქართული ცნობიერება, ქართული ლიტერატურა, მართლმადიდებლობა ვითარდებოდა და ბატონობდა. ეს ქართული სახელმწიფოები იყო... შევარდნაძის დროს საქართველოში გაჩნდა კვაზისახელმწიფოები, სადაც ქართული ეთნოსის მმართველობა მთლიანად წაშლილია, სადაც ქართულად არ ლაპარაკობენ, ქართველები სრულფასოვნად არ ცხოვრობენ, ქართული ცნობიერება ჩაკლულია და თითქმის განადგურებული. როგორც ჩვენს დღევანდელ პრეზიდენტს ყველაფრის მიმართ უყვარს თქმა, პირველად საქართველოს ისტორიაშიო, აი, მართლა პირველად საქართველოს ისტორიაში მოხდა ეს შევარდნაძის დროს.

რაც შეეხება შევარდნაძის მარიონეტობას, ამაზე ხომ უსასრულოდ შეიძლება საუბარი. მან ამერიკის მითითებით მსოფლიოში პირველმა მხარი დაუჭირა მართლმადიდებელი სერბების ბარბაროსულ დაბომბვას. ჩვენი ეკლესიაც, სხვათაშორის, დუმდა... მანვე ერაყში სამარცხვინო ომის დაწყებამდე განაცხადა, რომ ქართულ დაზვერვას უტყუარი ინფორმაცია აქვს ერაყში ბირთვული იარაღის არსებობის შესახებ. სხვათაშორის, შარშან აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა პაუელმა ბოდიში მოუხადა მსოფლიო საზოგადოებას, რომ ამ იარაღის შესახებ მას ატყუებდა. შევარდნაძისგან ბოდიშს, რა თქმა უნდა, ვერ გავიგონებთ. პაუელი ხომ სინდისმა შეაწუხა. შევარდნაძე კი, იმის ნაცვლად, რომ ქვეყნის დაშლისა და ათასობით ადამიანის დაღუპვისათვის საკუთარ ხალხს ბოდიში მოუხადოს, მემუარებს წერს და ინტერვიუებს იძლევა!

**ესაუბრა დიტო ჩუბინიძე**

# ზურაბ კვარაცხელია ბლოგი

## პარიზის ტრაგედია მსოფლიო ტრაგედიაა!

აშშ-მ აღისრულა ბოროტი წადილი და აი, ჩვენ უკვე აღმოვჩნდით მართვადი ქაოსის სამყაროში!

ევროპა სასიკვდილო აგონიაშია! აშშ-მ კულტურული, მაგრამ ბებერი ევროპა ჯერ გარყვნა, ბოლოს კი, მის მიერვე შექმნილ-სტიმულირებულ ტერორისტებს გასაუპატიურებლად და გასანადგურებლად დაუგდო სასიკვდილო სარეცელზე!.. და მეც ვამბობ, რომ ველარ უშველის ევროპას ტერაქტის შემდეგ პარიზის ქუჩებში **„მარსელიოზას“** სიმღერა, რადგან ამ ლეგენდარულ სიმღერასაც უკვე ყავლი გაუვიდა და ფასიც დაეკარგა! ყველაფერი მოჩვენებითია! ყალბია ყველაფერი! ო, როგორი ამაზრზენია პარიზზე ამ ტერორისტული შეტევის შემდეგ ე. წ. თავისუფალი სამყაროს ე. წ. ლიდერთა კომენტარები! ო, ფარისევლობის რამხელა დოზითაა გაჟღენთილი ობამას, ოლანდის, მერკელის, კამერონის, ჰილარი კლინტონის სიტყვები! ო, როგორი ცინიზმია, როცა ეს, კაცობრიობის წინაშე დამნაშავენი ტერაქტის გამო თითქოს ცრემლებს ღვრიან და ლოცულობენ მათივე მიზეზით დაღუპულთა სულებისათვის! ევროპა კვდება ან იქნებ მოკვდა უკვე! ერთი რამ უდავოა: კაცობრიობა სასიკვდილო საფრთხის წინაშეა! ჩრდილოეთის სახელმწიფოს დაჟინებული მოწოდებები, რათა სასწრაფოდ, დროულად შეიქმნას გლობალური ტერორიზმის გასანეიტრალებლად კოორდინირებული და სისტემური საერთაშორისო ძალა – სამწუხაროდ, ჯერჯერობით იგნორირებულია!

უფალო, გააღვიძე ევროპელებში თვითგადარჩენის რეფლექსი!

უფალო, იხსენი კაცობრიობა არაადეკვატური, გადაგვარებული და ბოროტი მმართველებისაგან!

უფალო, არ გაწირო შენს ხატად შენს მიერვე შექმნილი ადამიანი და კიდევ ერთხელ მიეცი მას შანსი!

უფალო...

## მეგობრებო!

მე მხოლოდ სამარე დამადუმებს, ამიტომ კვლავ ვიტყვი ჩემს სათქმელს... თუ მართლა ბრმანი და ყრუნი არ ვართ, დროა დავინახოთ მსოფლიოში არსებული ტრაგიკული ვითარება და შევისმინოთ ის, რომ გამოსავალი ახლა არის ერთ რამეში:

1) საერთაშორისო ტერორისტულ ლაშქართან საბრძოლველად სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესია ტრადიციული რელიგიების – ქრისტიანობის, ისლამის, ბუდიზმის და იუდაიზმის, აგრეთვე კაცობრიობის სხვა პროგრესულად მოაზროვნე ძალთა ფართო კოალიცია-ალიანსის ჩამოყალიბება.

2) აუცილებელია მსოფლიოს წამყვანი და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოების ჩართვა ამ კოალიციაში.

3) აუცილებელია, რომ უკანა პლანზე იქნას გადაწეული, უფრო მეტიც – საერთოდ დავიწყებას მიეცეს უნდა ევროატლანტიკური და ევრაზიური გეოპოლიტიკური წინააღმდეგობანი.

4) აუცილებელია ეს ერთიანობა ჩამოყალიბდეს რეალურად ანუ არავითარ შემთხვევაში ისე მოჩვენებითად, როგორც ირჯებიან დღეს ე. წ. თავისუფალი სამყაროს ე. წ. ლიდერები.

5) აუცილებელია, რომ ანტიტერორისტულ კოალიციას გააჩნდეს ტერორიზმის ბოროტებასთან ბრძოლის ერთიანი, შეთანხმებული ტაქტიკა და სტრატეგია.

6) აუცილებელია, რომ ამ დროისათვის მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა სამხედრო პოტენციალი საჭიროების და შესაბამისად იქნას გამოყენებული პლანეტაზე კაცობრიობის დასაცავად და მყარი მშვიდობიანობის დასამყარებლად.

7) აუცილებელია, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ყველა ეტაპზე კოალიციამ განსაკუთრებული დაცვის ქვეშ აიყვანოს პატარა და სუსტი სახელმწიფოები ანუ ისეთები, როგორიც არის მაგალითად: საქართველო, სომხეთი, ბულგარეთი, სერბეთი, ჩერნოგორია, მოლდოვეთი, რუმინეთი, უნგრეთი და ა. შ...

8) მოცემულ სიტუაციაში ანუ ამ ეტაპზე, ასევე უაღრესად და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პატარა საქართველო არ მიისწრაფოდეს ევროატლანტიკურ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში ინტეგრაციისაკენ, არამედ, ის კაცობრიობის წინაშე გამოდიოდეს უნდა ზემოთჩამოყალიბებული სულისკვეთების დემონსტრირებით!..

**P.S.** ***ეჰ... ახლა, მსოფლიოში ისეთი სიტუაციაა, ზურაბ კვარაცხელიას კი არა, ცოცხლები რომ იყვნენ – სტალინს, ჩერჩილს და რუზველტსაც არ მოუსმენენ!..***

## ღია მიმართვა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მესვეურებისადმი

***არც ვიცი, როგორ მოგმართოთ... ალბათ მაინც ჯობია ასე:***

პატივცემულო საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობავ...

ვიმედოვნებ, რომ ჩემზე მწირად არ იქნებით ინფორმირებულნი გლობალური ტერორიზმის თუ როგორი საფრთხეების წინაშე აღმოჩნდა დღეს კაცობრიობა. საქართველოც, ასე თუ ისე, ამ სამყაროს ნაწილია და ბუნებრივია, რომ ეს საფრთხეები ჩვენზეც ვრცელდება, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გავრცელებული ინფორმაციით საქართველოში უკვე მოქმედებს ავადსახსენებელი ISIS-ის აგენტურა. ტირაჟირდება საქართველოს საპატრიარქოს და საერთოდ ქართველი ერის მისამართით გარკვეული მუქარის შემცველი განცხადებებიც... ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, რამდენად არის რეალობასთან ახლოს ეს ყოველივე, მაგრამ მოვლენათა დინამიკას თუ ყურადღებით მივადევნებთ თვალ-ყურს, თუ გონივრულად შევაფასებთ მსოფლიოში ამ ბოლო დროს მიმდინარე პროცესებს, მაშინ აშკარაა, რომ ტერორიზმის საფრთხე საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივითაა დაკიდებული...

პატივცემულო **სუს**-ის მესვეურნო,

ასევე, არ შემიძლია ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტზეც არ გავამახვილო ყურადღება. არ ვიცი რამდენად ინტენსიურად აკვირდებით მეზობელი რუსეთის მიერ ISIS-ის წინააღმდეგ განხორციელებულ მოქმედებებს, მაგრამ როგორც ჩანს ის ტერორისტების წინააღმდეგ გადამჭრელი და გადამწყვეტი ღონისძიებების გასატარებლადაა განწყობილი... ვუსმენდი, რა რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლას საგარეო და ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელთა წინაშე, – პირადად ჩემთვის ერთი რამ ცხადზე უცხადესი გახდა: ის მზადაა ყველაფრისათვის! მან გამოაცხადა ტერორისტების დევნა აბსოლუტურად ყველგან – პლანეტის ყოველ კუთხე-კუნჭულზე! ამით რისი თქმაც მინდა ახლავე შევეცდები უფრო მკაფიოდ განვმარტო: თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამწუხაროდ ამ ქვეყნად ბევრია საქართველო-რუსეთს შორის დაძაბულობის გაღვივების და მტრული ურთიერთობის მომხრეც, მაშინ აბსოლუტურად არ გამოვრიცხავ იმას, რომ მოახდინონ ტერორისტების დევნის საბაბით საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ძალოვანი უწყებების მხრიდან გარკვეული ტიპის სპეცოპერაციების განხორციელების პროვოცირება ფრთოსანი რაკეტების გამოყენებითაც კი! ეს შესაძლოა ვინმეს ზღაპრად მოეჩვენოს, მაგრამ ხომ იცით, რომ ეშმაკს როდი ძინავს და აი, ამიტომაც, მოგმართავთ თხოვნით და ამავე დროს მოგიწოდებთ აღასრულოთ თქვენი პატრიოტული და სამსახურებრივი ვალი საქართველოს სახელმწიფოს, ქართველი ერის წინაშე! დიახ, მოგიწოდებთ გააძლიეროთ ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული საფრთხეების პრევენცირების მიზნით თქვენი ძალისხმევა! არ დაუშვათ ჩვენს ტერიტორიაზე არც ერთი საეჭვო და საერთაშორისო ტერორიზმთან შესაძლო კავშირის მქონე პირთა შემოსვლა! მდგომარეობის უაღრესი სერიოზულობიდან და საფრთხეებიდან გამომდინარე უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და მათ შორის სოციალური ქსელების საშუალებებით მავანთა მიერ უაღრესად საეჭვო და დამაფიქრებელ საქმიანობასაც!..

ბატონებო!

დილემა თვალნათლივი გახდა... როგორც ჩანს, კაცობრიობის წიაღში დადგა გადამწყვეტი შებრძოლების ჟამი სიკეთესა და ბოროტებას შორის; სიყვარულსა და სიძულვილს შორის და ჩვენი წმიდათა წმიდა მოვალეობაა დავდგეთ სიკეთისა და სიყვარულის მხარეს! ჩვენი ცალსახა მოვალეობაა დავიცვათ სამშობლო ნებისმიერი საფრთხისაგან! ჩვენი აუცილებელი მოვალეობაა ამ ომში გამოვავლინოთ მაქსიმალური გონიერება და სიფხიზლე! აი, ამას მოითხოვს ჩვენგან წარსულის, აწმყოს და მომავლის მარადიული ერთობლიობა!..

და ბოლოს, ბატონებო... რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს ეს, ცხოვრებაში სხვადასხვა სპეცსამსახურების მხრიდან მუდამჟამს დევნილი, ამჟამად სულით და გულით ვუსურვებ **სუს**-ს წარმატებას მამულის გადასარჩენად ბრძოლაში!..

უფალი ფარავდეს ჩვენს სამშობლოს!..

**ზურაბ კვარაცხელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირებული ეთნოგრაფიული ნაშრომი სამეგრელოზე

უნდა აღინიშნოს, რომ ლობიოს კულტურა სამეგრელოში ფართოდ გამოიყენება საჭმლის მოსამზადებლად. პარკოსნებს შორის ყველაზე გემრიელი საჭმელი სწორედ ლობიოსგან მზადდება. სამეგრელოში გავრცელებულია სიმინდში ლობიოს შეთესვის წესი. ამასთანავე, მოჰყავთ როგორც სანაწვერალო კულტურა, მარცვლისა და ნედლი პარკის მისაღებად. ფიქრობენ, რომ ლობიო XVI ს-ის მეორე ნახევრიდან უნდა შემოსულიყო სამეგრელოსა და, საერთოდ, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში. აქედან კი აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულა. სელის, როგორც ერთ-ერთი უძველესი სასოფლო-სამეურნეო მცენარის, სამეგრელოში ფართო გავრცელებაზე მეტყველებს ტოპონიმიური მასალაც. სელისგან, როგორც სართავი კულტურისაგან, ორი სახის ნედლეული – სართავი ბოჭკო და სელი მიიღება. უხეში ბოჭკოსაგან იქსოვებოდა ტომრები, მზადდებოდა თოკები, სათევზაო და მიმინოს დასაჭერი ბადეები. დიდი სიმტკიცე და გამძლეობა ახასიათებდა კანაფსაც, რის გამოც მას ფართო გამოყენება ჰქონდა სამეგრელოს სოფლის მეურნეობაში. კანაფი საუკეთესო საშუალება იყო ტომრების, ბადეების, თოკების, ღვედებისა და მისთანათა დასამზადებლად.

მეგრელი მეურნეები ფლობდნენ ბაღბოსტნის გაშენება-მოვლის ხელოვნებასაც. ეს საკითხიც წიგნის პირველ თავში ცალკე პარაგრაფად არის შესული. ბაღჩეული კულტურებიდან სამეგრელოში ფართო გავრცელებას პოულობს ერთწლიანი მცენარეები: საზამთრო (მეგრ. ხაბურზაკი) და ნესვი (მეგრ. შინკა). შედარებით ახალი კულტურაა გოგრა (მეგრ. კბეშის/კოპეშია). საკვები ელემენტებით მდიდარ ნიადაგებზე ეს ბაღჩეული კულტურები დიდ მოსავალს იძლევა. ასეთი ნისადაგებია ძირითადად ახლად გატეხილი ყამირი, ახო, აგრეთვე მდინარისპირა ჭალები. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით მოსავლის სიმრავლისთვის ხდებოდა ნიადაგის განოყიერება წურწუფით, ჟიჟათი (იქვე: 44). ბოსტანში ითესება აგრეთვე ხაჯი (ცერცვი), სოტელია (წითელი ფხალი), ზაფანა (პილპილი), მაკინდოლი (ოხრახუში), კინტირი (კიტრი), პამინდორი (პომიდორი)...

მეორე თავის 2. 1. 9 პარაგრაფში **(„ხეხილი“)** დ. შავიანიძე აღნიშნავს, რომ სამეგრელოში ვაზის ჯიშების მრავალრიცხოვნებაზე მიკროტოპონიმიაც მიგვანიშნებს. გ. ელიავას ავტორობით 1977 წელს გამოცემული წიგნიდან **(„აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“)** დამოწმებულ ტოპონიმებს შორის ავტორი საილუსტრაციოდ ასახელებს ოიაგვანეს **„საქვევროს“** (ადგ. სოფ. თამაკონში), მაგრამ ეს სწორი არ არის: ტოპონიმი **„ოიაგვანე“** მიუთითებს ქვევრის დასამზადებლად ვარგისი ნიადაგის გავრცელების არეალზე კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში, სოფ. თამაკონში, და მას არავითარი კავშირი არა აქვს ვაზის ჯიშთან (იქვე: 47).

ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა თხილის კულტურას, რაც თანამედროვე სამეგრელოში შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მეგრელი მეურნისათვის. ახუთელ გურამ უბირიასაგან ჩაწერილი მასალის მიხედვით თხილი ირგვება იანვარ-თებერვალში, 25 სმ სიღრმის მქონე ორმოებში. რიგთაშორის მანძილი 5 მ უნდა იყოს, ხოლო ბოქვებსშორის დაშორება – 2 მ. ერთ ადგილზე უნდა დაირგოს ორი, მაქსიმუმ ოთხი ღერი. აპრილ-მაისში, ნაწვიმარზე, საჭიროა 100-200 გრამი სასუქის შეტანა შემობარულ მიწაზე. დასახელებულია თხილის ჯიშებიც: სკვერი თხირი (თიკნისყურა), ბახვა თხირი, დამსკი (დედოფლის თითები), ტყის თხირი, გვაგვა თხირი, ბერძნული და ხოჯთხირი „ხარისთვალა თხილი“ (იქვე: 46).

საინტერესოა ავტორის მსჯელობა მწარმოებლური და არამწარმოებლური მეურნეობის ტრადიციულ დარგებზე (მესაქონლეობა, მეღორეობა), აგრეთვე საქონლის მრავლობა-შენარჩუნებასა და დაავადებებთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებზე. სარეცენზიო ნაშრომში აღნიშნულია, რომ მეგრელის სამეურნეო ყოფაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცხენს, როგორც ტვირთგადასაზიდ, სამგზავრო და გამწევ საშუალებას. ცხენს იყენებდნენ სპორტულ სანახაობებში. დამოწმებულია ცხენის გახედნასთან და დადაღვასთან, ცხენის გამრავლებასთან დაკავშირებული ეთნოლოგიური მასალა. გადმოცემებში შემონახულა ცხენოსნობით, ანუ ვაჟკაცობით განთქმულ მხედართა სახელებიც (დიმიტრი, ბაჩუკა, ჯემალ და ომეხ ჩიქავები, შოთა დგებუაძე, სილოვან, ბაგრატ და ადამურ ნარმანიები, ჯეირან ხუბუა...).

სამეგრელოს ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველები და სპეციალისტები წიგნში მრავალ საინტერესო ინფორმაციას წააწყდებიან მეფუტკრეობის, მონადირეობის, მეთევზეობის, მეაბრეშუმეობის, საოჯახო მეფრინველეობის საკითხებზე, აგრეთვე სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე. აქ მოკლედ შევეხებით მეაბრეშუმეობის საკითხებს, რამდენადაც იგი ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის უძველესი და მეტად მნიშვნელოვანი დარგი იყო.

მეაბრეშუმეობის განვითარებას საქართველოში კარგი ბუნებრივი პირობები და ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო ქმნიდა. ამასთანავე, აქ გადიოდა მსხვილი საქარავნო გზები. გზებს შორის უპირველესი – აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზეც გადიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალი სანაოსნო გზები იქნა აღმოჩენილი, აბრეშუმის დიდმა გზამ ფუნქციონირება შეწყვიტა. 1900 წლის მონაცემებით სამეგრელოს სასაქონლო პროდუქციაში მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი შეადგენდა სენაკის მაზრაში 71, 4 %-ს, ხოლო ზუგდიდის მაზრაში – 58, 7 %-ს. სპეციალისტთა აზრით, **„საქართველოში მეაბრეშუმეობა ყოველთვის განიხილებოდა როგორც ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების, სოფლად შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო და მუდმივი საგანი... მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. მრავალი საუკუნის მანძილზე მეაბრეშუმეობა საქართველოში მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად მოსაქმეობას წარმოადგენდა“** (გოჩა ნიკოლეიშვილი, გიორგი ნიკოლეიშვილი, მეაბრეშუმეობის ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი პოტენციალის გამოყენების სრულყოფის გზები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თბ., 2005: 24). სამწუხაროდ, თუთის ნარგაობის განადგურებამ საქართველოში დღეს უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა, ვიდრე მას საუკუნეთა მიღმა ჰქონდა ადგილი. თუმცა, წარსულისგან განსხვავებით დღეს ეს შინაურის ხელით კეთდება, რაც ბარბაროსთა ქმედებაზე უარესია (იქვე: 25).

საქართველოში მეფუტკრეობის უხსოვარი დროიდან გავრცელებაზე ძველი ბერძნული წყაროები მოგვითხრობს. ბერძენი ისტორიკოსის – ქსენოფონტის ცნობით, საქართველოში ფუტკრის ოჯახები უჩვეულოდ ბევრი ყოფილა. ტრაპიზონის მახლობლად, კოლხთა ერთ-ერთ სოფელში, 10.000 ბერძენი მეომარი მათრობელა თაფლს მოუწამლავს. პომპეუსი გვაუწყებს, რომ მათრობელა თაფლით გაბრუებული მტერი კოლხებს დაუმარცხებიათ კიდეც. ფუტკრის გავრცელებაზე მოგვითხრობს აგრეთვე XVIII საუკუნეში მოღვაწე დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი. სარეცენზიო წიგნის მეორე თავში ცალკე პარაგრაფად წარმოდგენილია სამეგრელოში მეურნეობის ფართოდ გავრცელებულ დარგთა შორის გამორჩეული მეფუტკრეობის საკითხები, ფუტკრის მოვლასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალა და ხალხური რწმენა-წარმოდგენები (იქვე: 62-67).

მესამე თავში განხილულია ხელოსნობა-შინამრეწველობის (მეჭურჭლეობა, ფეიქრობა, მჭედლობა, ჭის თხრა, წისქვილის აწყობა-მუშაობა, წნული ღობის გაკეთება, ტრანსპორტის ხალხური სახეობანი) საკითხები.

მეოთხე თავში მკვლევარი აანალიზებს დასახლების ტიპებთან, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ მასალას. საცხოვრებელ ნაგებობებზე მსჯელობისას დ. შავიანიძე იმოწმებს ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პროფ. სერგი მაკალათიას წიგნიდან – **„სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“** და დასძენს, რომ **„ფაცხაზე, ჯარგვალზე, გოდორა ანუ პიტაფიცარა სახლზე მეტი ეთნოგრაფიული მასალა თითქმის აღარ მოიპოვება“** (იქვე: 105). საინტერესოა სამეგრელოში ბოძებზე დადგმული საცხოვრებელი სახლის ტიპის – ოდა სახლის სახელწოდებად მკვლევრის მიერ საღდარის დამოწმების ფაქტი.

საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე, დგამ-ავეჯსა და ჭურჭელზე მსჯელობისას სასურველი იყო დ. შავიანიძეს გაეთვალისწინებინა გ. ელიავას ორი ნაშრომი – **„მხარეთმცოდნის თვალით“**, სადაც ერთ-ერთი თავი მეგრული კარ-მიდამოს (მახორობას) აღწერას ეძღვნება, და 1989 წელს გამოცემული **„ეთნოგრაფიული სამეგრელო. ალბომი“**.

გასაზიარებელია ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ახალმა ყოფამ გამოიწვია წინაპართა მიერ გამოყენებული საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ავეჯის შეცვლა. მათი ფორმისა და ფუნქციის აღდგენა გაძნელებულია შემორჩენილი ნივთიერი მასალის ფრაგმენტულობის გამო. მართალია, **„ტრადიციული ურთიერთობების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების და სხვათა შესახებ ინფორმაცია ძველი ყოფის მომსწრე მთხრობელებთან ფიქსირდება“** (იქვე: 111), მაგრამ საკვლევ საკითხებზე წიგნის ავტორი უხვ და მრავალფეროვან ეთნოლოგიურ მასალას წააწყდებოდა სამეცნიერო-სალექსიკონო მასალებშიც. ასე, მაგალითად, ალიო ქობალიას **„მეგრული ლექსიკონი“** (თბ., 2010) ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა. თუმცა, სამწუხაროდ, წიგნისათვის დართული გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალში გ. ელიავას ზემოთ დასახელებული, ასევე ცალკეული ეთნოგრაფიული შრომები და ა. ქობალიას ხსენებული ლექსიკონი მითითებული არ არის.

წიგნის მეხუთე-მეექვსე თავებში განხილულია საოჯახო ყოფასა და ჩაცმულობასთან დაკავშირებული საკითხები. მეშვიდე თავში მოცემულია საკუთარი სახელების, მკვიდრ და მოსულ გვართა სადაურობა-წარმომავლობის, გვართა შორის ქორწინების აკრძალვა-დაშვების, საგვარეულო სალოცავებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებული მდიდარი ეთნოისტორიული მასალა. დასახელებულია სამეგრელოში გავრცელებული, ადამიანთა ზოგიერთი სახელი და მეტსახელი.

მერვე თავში – **„რელიგიური დღესასწაულები და რწმენა-წარმოდგენები“**, მკვლევარი შენიშნავს, რომ სამეგრელოში უხვად არსებობს ლეგენდა-გადმოცემები მნათობთა და ხე-მცენარეთა თაყვანისცემაზე, მნათობ-ღვთაებათა შვიდეულზე, ავსულებზე, რელიგიური ხასიათის თქმულებები ქრისტიან წმიდა მოწამეთა – წმ. გიორგისა და წმ. ელიას ყოვლისშემძლეობაზე (იქვე: 130-134). **„სამეგრელოში,** – წერს დ. შავიანიძე,– **ხე-მცენარეთა თაყვანისცემის დამამტკიცებელია ჭყონდიდი – დიდი მუხა, მუხის მსახურების სალოცავი ადგილი. აღნიშნული ფაქტი უთუოდ „ხეთა მსახურების“ დასტურია“ (იქვე: 135).** ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ავტორის მსჯელობა ემყარება აკად. ივანე ჯავახიშვილის წიგნში **(„ქართველი ერის ისტორია“, ტომი პირველი)** წარმოდგენილ ეთნოგრაფიულ მასალას.

ავტორის ცნობით, წალენჯიხის რაიონის სოფლებში აღინიშნებოდა დღესასწაულები, რასაც მსხვერპლშეწირვაც ახლდა. მათ შორის ასახელებს სანწკელოს და წერს, რომ ნწკელ- ღვთაებასთან დაკავშირებით მასალა მოპოვებული არ არის, მაგრამ ირკვევა, რომ სანწკელოს იხდიდნენ შემოდგომაზე. მარანში ჩამარხული ამ სალოცავი ქვევრის თავზე **„დინოების“** წევრები დაიჩოქებდნენ, ხოლო უხუცესი შემდეგი სიტყვებით დაილოცებოდა: **„მარდიან ღორონთ, ნწკელ, სქანი ტიბინი სი ქომუჩი მა, ჩქიმ მოთას დო გიმნაჭყანს“ (მადლიანო ღმერთო, ნწკელ, მომეცი შენი წყალობა მე, ჩემს შვილებს, შვილიშვილებს და ნაგრამს)“** (იქვე: 138).

**იგორ კეკელია,**
**ისტორიის დოქტორი**

# “არასოდეს იომოთ საქართველოსთან, ამით თქვენ შეებრძოლებით დედას ღვთისას... რაც დაღუპავს რუსეთს”



ამ სიტყვებით აფრთხილებდა რუსეთს უდიდესი რუსი წმინდანი სერაფიმე საროველი.

მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი წმინდანი ღირსი სერაფიმე საროველი, ერობაში პროხორე მოშნინი, დაიბადა 1754 წლის 19 ივლისს, ქ. კურსკში.

პროხორეს მამა ადრე გარდაეცვალა და მცირეწლოვანი ყმა დედის აღათიას მზრუნველობის ქვეშ დარჩა. დედამ ადრევე შენიშნა შვილის მისწრაფებანი, ამჩნევდა მას გულითად ლოცვას, წუთისოფლისგან განდგომის სურვილსა და მიწიერი საზრუნავისადმი გულგრილობას.

პროხორემ სიყმაწვილეშივე გადაწყვიტა თავი უფლის მსახურებისათვის მიეძღვნა და მონასტერში წასულიყო დედასაც წინააღმდეგობა არ გაუწევია. პროხორემ მალე დატოვა თავისი მშობლიური კერა და საროვის უდაბნოში გაემგზავრა,

წმინდა საროვის უდაბნოში 8 წლიანი მორჩილების შემდეგ 1786 წლის 13 (26) აგვისტოს, მარხვის დასასრულს, იღუმენმა პახომმა პროხორე ბერად აღკვეცა.

მას სახელად სერაფიმე ეწოდა იგი ებრაულად **“ცეცხლოვანს”**, ძვ. ქართულად კი **“ცეცხლებ დამწველნი**” ნიშნავს.

1793 წლის 15 სექტემბერს ღვთის სიტყვით ანთებული მამა სერაფიმე უდაბნოში განმარტოების სურვილით აენთო, და განდეგილობა გადაწყვიტა.

მალე სავანის წინამძღვარი, მამა პახუმი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან წმინდანს მეუდაბნოეაზე მისცა კურთხევა.

და მონასტრიდან ხუთი ვერსის მოშორებით, მდინარე საროვის ნაპირზე, უდაბურ ფიჭვნარში ამაღლებულ ბორცვზე ერთოთახიან ხის სენაკში დასახლდა. მთელი კვირის განმავლობაში აქ ლოცულობდა და მხოლოდ შაბათობით, მწუხრის წინ მიდიოდა სავანეში.

ბერი სერაფიმე ძალიან ცოტას ჭამდა, საკვებს დღეში მხოლოდ ერთხელ იღებდა. ოთხშაბათს და პარასკევს არაფერს იხმევდა. დიდმარხვის პირველ კვირას შაბათამდე არაფერს ჭამდა, შაბათს კი წმინდა საიდუმლოს ეზიარებოდა.

წმინდა სერაფიმესთან რჩევის და ლოცვა-კურთხევისთვის მოდიოდნენ როგორც მონასტრის ძმები, ისე ერისკაცებიც.

იგი ყოველ ღამით ტყეში ერთ უზარმაზარ ლოდზე ადიოდა და ხელაპყრობით ლოცულობდა. დღისით კი კელიაში აგრძელებდა ლოცვას, სადაც ტყიდან მოტანილ ქვაზე იდგა, საიდანაც იშვიათად ჩამოდიოდა. ასე ლოცულობდა წმინდანი 1.000 დღე-ღამის განმავლობაში.

იგი უფლის შეწევნით უამრავ სასწაულს აღასრულებდა, ლოცვებით კურნავდა ადამიანებს. წმინდა სერაფიმე განსაკუთრებულად ზრუნავდა დივეევოს დედათა სავანეზე. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ლოცვის დროს ჰაერში ამაღლებულიც უხილავთ წმინდა სერაფიმე მრევლს ყოველთვის ეუბნებოდა გულში მუდამ იმეორე იესოს ლოცვა: **“უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი”.** შთაგონებით ილოცე და შენი გონი სულს შეუერთე.

საოცარი იყო ღირსი სერაფიმეს ცხოვრება და საკვირველი იყო მისი აღსასრული.

მამა სერაფიმემ განჭვრიტა თავისი აღსასრულის მოახლოება ხშირად აფრთხილებდა მნახველებს: **“ჩვენ აწი ველარ შევხვდებით”.** დედა პარასკევას ეუბნებოდა: **“ამიერიდან მარტო იცხოვრეთ, გტოვებთ!”**

1833 წლის 14 იანვარის დილას იგი უკანასკნელად მივიდა ეკლესიაში. იგი უჩვეულოდ იქცეოდა, ყველა ხატთან სანთელი დაანთო და ემთხვია. ასეთი რამ ადრე არ გაუკეთებია.

15 იანვარის, დილის ექვსი საათისთვის წმინდანის მორჩილმა პავლემ მისი კელიიდან გამომავალი დამწვრის სუნი იგრძნო, წმინდანი ყოველთვის ანთებდა სანთლებს, მაგრამ ამბობდა, **“სანამ ცოცხალი ვარ ჩემს კელიაში ცეცხლი არ გაჩნდება, ჩემი სიკვდილი ხანძრით გაცხადდება”.** როდესაც კელიაში შევიდნენ წმინდანი გარდაცვლილი დახვდათ.

მამა სერაფიმე სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც, დღემდე უამრავ სასწაულს აღასრულებს, მისი შემწეობით უამრავი სნეული განკურნებულა და იკურნება.

ხსენება – ახალი სტილით 15 იანვარი.

ყველას შეგეწიოთ წმინდა სერაფიმე საროველი!

**დავით დანელია**

# მეგრული (იბერიული) ენის ფენომენი

***(მნიშვნელობა და მონაცემები სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის)***

ამდენად, არქაული (თანხმოვნური მეტყველების) ხანის წინადადება **თ, ბ, რ,**, რომელიც შემდგომ შეკავშირდა ერთ ძირისეულ ფორმად **თ,ბ,რ,**, თავდაპირველად ნიშნავდა: **ნათელთან კავშირი არის**, უფრო სწორად, **ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს**, კიდევ უფრო სრულად, **თ,ბ,რ,// თიბერი//იბერი=[უზენაეს] ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს.**

ბევრმა სცადა ეთნიკური ტერმინის **„ქართი"** ეტიმოლოგია დაედგინა. მაგალითად, პროფ. გურამ ბედოშვილმა სპეციალური სტატია მიუძღვნა ტერმინ **„ქართის"** ეტიმოლოგიის შესწავლას, მაგრამ ვერ დაადგინა, თუ არ დაადგინა, ბოლომდე არ მიუყვანია ეს საქმე. მე კიდევ, ჯვარს, რომ მაცვან, მაინც უნდა ვთქვა ის, რაც სიმართლედ მიმაჩნია, რადგან აღიარების გარეშე შეუძლებელია შეცდომის გამოსწორება.

შეუვალია მიზეზ-შედეგობრიობის კანონი. უმიზეზოდ არაფერი ხდება, მაგრამ რაც ხდება, ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, ისევ ადამიანთა საზოგადოების სრულყოფისათვის, მისი სულიერი სამყაროს განვითარება-დახვეწისათვის, რომ საბოლოოდ აღსრულდეს შემოქმედის ჩანაფიქრი: შეექმნა **„კაცი ხატად თვისად"**.

როცა ჩვენმა უძველესმა წინაპარმა დაინახა, რომ ველური ცხოვრების წესი, რომელიც მანამდე ჰქონდათ, დამღუპველია, გადააბიჯა ველური ცხოვრების ზღვარს და გაიაზრა, რომ ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად აუცილებელია საკუთარი შრომითა და ენერგიით, სხვებისთვის ზარალის მიუყენებლად, დაიკმაყოფილოს საკუთარი ადამიანური მოთხოვნები და თუ ასეთი ცხოვრების წესი საყოველთაო გავრცელებას ჰპოვებდა, საზოგადოება ბედნიერებას მოიმკიდა.

როცა ირწმუნა საზოგადოების გარკვეულმა, სულიერად ამაღლებულმა ნაწილმა **„გაღება-გაცემა (იბერიულად, გოჩამა, რაც საოცრად უპირატესი არსის მომცველია) მიღებისათვის"** პრინციპის დამკვიდრების აუცილებლობა, უეჭველია, ამ პრინციპის ცხოვრების წესად ქცევისათვის, შესაბამის ზომებს მიიღებდნენ. ეს ზომები და ნორმები ასახულია ჩვენს მისასალმებელ ტერმინებში **„გომორძგუა"** – **„გოგიმორძგვას"** (იბერიულად), **„გამარჯობა" – „გაგიმარჯოს"** (ქართულად), რომლებიც ნაწარმოებია თავდაპირველი ფორმებიდან **„გ,მ,რძგ,"** და **„გ,გ,მ,რძგ,"** (იბერიული **„რძ"**-ს შესატყვისია ქართული **„რჯ"**), რაც, შესაბამისად, ნიშნავს **„იგე მეს გარჯით"** და **„იგე, იგე მეს გარჯით"**, უფრო სრულყოფილად, **„მოიგე მეს გარჯით" – „მოიგე, მოიგე მეს გარჯით"**. და ყოველ შეხვედრაზე ასე მოუწოდებდნენ ერთმანეთს. ეტყობა, ცხოვრების წესად დამკვიდრდა, კიდეც, პრიცი პი **„გაცემა მიღებისათვის"** და საკუთარი ენერგიის გაღების გარეშე სარგებლის მიღება სირცხვილად, ზნეობრივ დაცემად მიიჩნეოდა, რაც ასახულია იბერიულ სიტყვაში **„[ქ]ონჯღორე//ოჯღორე"** (ქართულად, სირცხვილი), რომელიც ნაწარმოებია თავდაპირველი ფორმიდან **ქ, ჯ, ღ, რ,** და ნიშნავს **„კი წევს, [მი]ღება არის"**, ე.ი. უშრომლად, გარჯის გარეშე იღებს სარგებელს, ანუ მუქთახორობას ეწევა.

სწორედ, ასეთი ცხოვრების წესის დამკვიდრებამ განაპირობა იბერიული ცივილიზაციის გავრცელება პირინეიდან ინდოეთამდე და აყვავებული კულტურის შექმნა. მაგრამ ადამიანთა თვისებაა მიზნის მიღწევით სიამოვნება და ნაკლები შრომით მეტის მიღებისკენ სწრაფვა. ამიტომაა, რომ ადამიანი მუდამ ცდილობს გამოიგონოს ისეთი საშუალება, რომელიც შრომას გაუადვილებს და ნაკლები შრომით უხვ მოსავალს მოიპოვებს. მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა როცა მიაღწიეს იმ დროისათვის საკმაოდ ამაღლებულ სულიერ-ზნეობრივ დონეს და შექმნეს მანამდე უნახავი კულტურა, ალბათ, ეგონათ ეს იყო სულიერი ამაღლების გზაზე ბოლო საფეხური და კმაყოფილებას მიეცნენ; შეიძლება, ზედმეტი დასვენება და დროის ტარება გაუტკბათ, ყურადღება მოუდუნდათ შესაძლო საფრთხეებზე, შეასუსტეს მიღწეულის შენარჩუნებისათვის კონტროლი; ვერ აქცევდნენ ყურადღებას, რომ ერთიდაიგივე ძირისეულ ფორმას სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები იბერები სხვადასხვანაირად ახმოვანებდნენ.

იბერიულ-ქართული ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ დიალექტურმა განსხვავებულობამ თავი იჩინა ერთიდაიგივე ძირისეულ ფორმებში მადეტერმინირებელი , ბგერის სხვადასხვა ხმოვნით შეცვლისას. და ეს მოხდა, ჯერ კიდევ, თანხმოვნური მეტყველების ხანაში. მაგრამ, ბუნებრივია, იმ რეგიონის დიალექტი ჩაითვლებოდა ფუძედ, რომელშიც რიცხობრივად მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა და ფიზიკურ-ეკონომიურად უფრო ძლიერი იყო. ამიტომ იბერთა უფრო დიდმა ნაწილმა შედარებით მცირე ნაწილის მოსახლეობას **„ქარდი[ლი]"** (აზრდილი), ანუ იბერიულ დედა ტანს **აზრდილი** უწოდა. თავიდან **ქარდი** გარკვეული რეგიონის მკვიდრის მნიშვნელობის მატარებელი ტერმინი იყო, მაგრამ, როცა დიალექტური სხვაობა გაიზარდა და აშკარად განსხვავებული მეტყველება ჩამოუყალიბდა, შეიძლება ეთნიკური სახელწოდების მნიშვნელობაც მიეღო. ასე წარმოიშვა სიტყვიდან **„ქარდი"** ეთნიკური ტერმინი **„ქალდი"** (**„რ"** ბგერის რელაქსაცია **„ლ"**-თი, ქართველურ ენებში, ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა) და ქვეყნის, თუ რეგიონის სახელწოდება **„ქალდეა"**.

ბიბლიიდან და უცხოური ისტორიული წყაროებიდან ქალდეველები ცნობილია, როგორც დიდი სიბრძნისა და მაღალი სულიერი კულტურის მატარებელი საზოგადოება. შესაძლოა იბერ ქურუმთა კასტა **„ქალდეას"** რეგიონიდან ყოფილიყო. არა გვაქვს ცნობა, რომ **„ქალდეველებს"** დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ჰქონოდათ. ჩვენი აზრით, **„ქალდი"**-ცა და **„ქართი"**-ც სიტყვა **„ქარდი"**-დან ნაწარმოები ტერმინებია: **ქარდი→ქალდი** (**რ** ბგერის რელაქსაცია **ლ**-თი); **ქარდი→ქართი** (**დ**-ს შეცვლა **თ**-თი, ან, პირიქით, ე.ი. სუბსტიტუცია ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა).

ცნობილია, რომ ვერაგი მტერი იბერებისა და მისი ტანიდან ამოზრდილი ტოტის – ქარდების ენობრივ სხვაობას ეფექტურად იყენებდა და სპარსეთის ხელისუფლება აქეზებდა მათ იბერიიდან გამოყოფისკენ და გამოეყვნენ კიდეც, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დროებით.

სწორედ, მაშინ შეარქვეს განაწყენებულმა იბერებმა ალბათ ქარდებს **ქართი**, რაც ქართულად, „შეერიე"-ს, „გაერთიანდი"-ს, უფრო სწორად, „გაერთდი"-ს, „ერთ არსად იქმენ"-ს ნიშნავს. მაგრამ, სამწუხაროდ, ტერმინი „ქართი" ცხოველებთან მიმართებაში იხმარება („ქართა"=ცხოველთა მოსაკრებლის შემორაგვა); „ჩქინი სოფელში ჯოგის მეზობელი სოფელიში ჯოგიქ **ქართ**" (ჩვენი სოფლის ჯოგს მეზობელი სოფლის ჯოგი შეერია); „ჯოღორეფიცალო **ქართ**ეს დო აკოჭკუმეს ართიანი" (ძაღლებივით დაერიენ (შეერიენ) და დაჭამეს ერთმანეთი!), ხოლო ადამიანებთან მიმართებაში იხმარება იგივე მნიშვნელობის სიტყვა **„ქაკათი"** (შეერიე). **„კათა"** ბევრ, თავმოყრილ ადამიანთა ჯგუფს ქვია, სადაც წყდება საერთო საქმეები. **კათა** ნაწარმოებია ძირისეული ფორმიდან **კ, თ,** (კ,=ჭედვა, წრთობა; თ,=ნათელი), რაც **„წრთობა ნათელისა"**-ს ნიშნავს და, მართლაც, საზოგადოების საქმიანი ბჭობისას ხდება ადამიანის სულიერი სამყაროს წრთობა-ჩამოყალიბება, ანუ **„წრთობა ნათელისა"**.

უკვე ეთნიკურ ერთეულად ჩამოყალიბებულმა ქართებმა, როგორც კი მოიპოვეს სამეფოს სტატუსი (888, თუ 899წ.), იბერებს არ აპატიეს ადრე დაშვებული შეცდომა და, მათაც, ცინიკურად შეუცვალეს სახელი: იბერი→იგერი→ეგერი→ეგრი→მეგრი, აქედანაა ეთნიკური სახელწოდება **მეგრელი** და სამეფოს სახელწოდება ეგრისი (←ეგრი). „**გ**" ბგერას აქვს უნარი დაუპირისპირდეს სხვა თანხმოვან ბგერებს და ამით შეასრულოს სიტყვათგანმასხვავებლის ფუნქცია" (იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999 წელი, გვ. 6). ბავშვებში დღემდე გავრცელებულია, ერთმანეთის დამცირების მიზნით, საკუთარი სახელების შეცვლის ასეთი წესი: ჯუმბერია→გუმბერია, ბესიკია→გესიკია, მარდონია→გარდონია, ბუდარია→გუდარია და სხვა. მეგრელები და ეგრისი პირველად ქართულ წყაროებშია ნახსენები და მხოლოდ სამეფო სტატუსის მიღების შემდეგ.

## მიზეზი ქართველი ერის სულიერი დაცემისა

ბევრ მამულიშვილს აწუხებს ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ ბევრს არა, რადგან ვინც უზრუნველყოფილი და კმაყოფილია, მათ თვალში ყვავის ქვეყანა. ამიტომ არც სწუხან დღევანდელი მდგომარეობის გამო.

ამას წინათ ერთმა განწმენდილმა მღვდელმთავარმა ქადაგებისას დიდი გულისტკივილით აღნიშნა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მრევლს მოგვმართა: **როგორია საზოგადოებრივი აზრი, რაა მიზეზი ქართველი საზოგადოების გათითოკაცებისა, ურთიერთ გაუტანლობისა, ოჯახების რღვევისა, საზოგადოების უჯანსაღესი ნაწილის საზღვარგარეთ გადახვეწისა, განსაკუთრებით, ქართველი მოსახლეობის საგანგაშოდ კლებისა, საქართველოს მიწა-წყლის უმოწყალოდ გაყიდვისა და გასხვისებისა, ეროვნული ტრადიციების უარყოფისა და მორალურ-ზნეობრივად მიუღებელი, ავადმყოფურ ანომალიათა ხელისუფლების მიერ ცხოვრების წესად დაკანონებისა, უღმერთობისა და უსიყვარულობისა, სიძულვილისა და ეგოიზმის ზეობისა, მოკლედ, ქართველი ერის ესოდენ სულიერი დაცემისა** და გვთხოვა წერილობით წარმოგვედგინა ჩვენი მოსაზრებები.

შეუძლებელია, იმ წმინდა ადამიანის მიერ აღწერილი მდგომარეობის რაიმე ხერხით შემსუბუქება, რადგან ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვრამდეა მისული და ასეთის ცდა, უბრალოდ, თავის მოტყუება იქნებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი სავალალო მდგომარეობის მიზეზი დრამატიული ეპიზოდებით დატვირთული ქართველი ერის ცხოვრების უშორეულესი წარსულიდან მომდინარეობს. თუმცა, შესაძლოა, დღეს სულიერი დაცემის ბევრი სხვადასხვა მიზეზი არსებობდეს, მაგრამ ყველა სხვა მიზეზთა გამომწვევ უპირველეს და უმთავრეს მიზეზზე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო.

მართალია, ქრისტიანული მორალურ-ზნეობრივი კულტურის მქადაგებელნი ბევრი გვყავდა, მაგრამ ფაქტია, რომ გიორგი ჭყონდიდელის შემდეგ გერონტი ქიქოძემდე ქართველ ერს გამოკვეთილი ეროვნული იდეოლოგი აღარ გვყოლია. ხოლო ჭყონდიდელის გენია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მტრის მრისხანე ძალას გაქცეულ და მთებში გამოქვაბულებსა და ტყეში გახიზნულ ქართველ ხალხს, დავით აღმაშენებლის მეთაურობით, უძლეველად მიჩნეულ მტერთან გაამარჯვებინა. ამ ორი გენიალური პიროვნების ტანდემმა ოქროს ხანას დაუდო საფუძველი და, მიუხედავად შემდეგდროინდელი მრავალი ტრაგიკული მოვლენებისა, დღემდე მოაღწევინა ქართველ ერს.

წყვდიად ღამეში მოულოდნელ გაელვებას ჰგავდა გერონტი ქიქოძის (1885-1960) გამოჩენა სამოღვაწეო ასპარეზზე. სტატიაში **„ენა და ეროვნული ენერგია"** განვითარებულ აზრს მთლიანად ვიზიარებ, როცა ის ქართველი ერის სულიერი გაკოტრების მიზეზად ქართული ენის უცხო ენათა ლექსიკით დანაგვიანებას მიიჩნევს, რომელიც უკონტროლოდ შემოიჭრა ჩვენში, განდევნა მშობლიური ლექსიკა, რომელიც იძლეოდა ეროვნულ ენერგიას და შეეძლო ეშვა ეროვნული იდეოლოგი, მაგრამ უცხო ენაზე, რამდენად სრულყოფილად არ ფლობდეს მას, არ აზროვნებს ადამიანი და უცხო ენათა ლექსიკით ესოდენ დანაგვიანებულ ქართულ ენას, ალბათ, არ შეუძლია შვას ეროვნული იდეოლოგი, რომელიც საკუთარ მოსახლეობას სამშობლოს პატრიოტ და თავდადებულ ერთიან ძალად აღზრდიდა. ამის გამო თავდადებული მამულიშვილები, ალბათ, ვერ წვდებოდნენ ნეგატიური შედეგების გამომწვევ ჭეშმარიტი მიზეზის სიღრმეებში და უკვე მტკიცედ დამკვიდრებულ შედეგს ებრძოდნენ მუდამ. რა თქმა უნდა, ამით აჩერებდნენ ნეგატიური შედეგის უფრო განვითარებას, ან საერთოდ სპობდნენ, მაგრამ მხოლოდ დროებით, რადგან ღრმად ფესვებგადგმული მიზეზი მიზეზ-შედეგობრიობის შეუვალი ღვთიური კანონის ძალით მალე ისევ ახალ პრობლემას წარმოშობდა და ჩვენი მამულიშვილების უზარმაზარი ენერგია უშედეგოდ ეწირებოდა შედეგებთან ბრძოლას მაშინ, როდესაც, შესაძლოა, შედეგებთან ბრძოლაში დახარჯული ენერგიის მეათასედიც არ დასჭირვებოდა ყველა ჩვენი უბედურებების გამომწვევ უმთავრესი მიზეზის აღმოფხვრას.

რა მიზეზია ეს მიზეზი?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, საჭიროა გავაცნობიეროთ, რამ განაპირობა იბერიული ცივილიზაციის მთელ ნახევარსფეროზე გავრცელება და **„აყვავებული კულტურის"** შექმნა? – უეჭველია, ეს განაპირობა ღმერთთან, უზენაეს შემოქმედთან, თუ მის ფიზიკურ გამოვლინებასთან, ბუნებასთან ადამიანის სულიერმა და ფიზიკურმა სიახლოვემ, რაც თავის მხრივ განაპირობა უზენაესის ჩანაფიქრმა **„შეექმნა კაცი ხატად თვისად"**, ხოლო თავისი ხატი, ანუ სიბრძნით მსგავსი არსება შემოქმედს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ჰყოლოდა თავისი სიდიადის შემფასებელი მოაზროვნე არსება, რომლის გარეშე, თვით შემოქმედისა და მისი ფიზიკური გამოვლინების – უსასრულო სამყაროს არსებობას არავითარი აზრი არ ექნებოდა, რადგან არავის ეცოდინებოდა, შემოქმედის გარდა, მის არსებობაზე, ისე, როგორც ზეკაცის, ბრძენის არსებობას არავითარი აზრი არა აქვს, თუ მისი სიბრძნე რეალიზებული არ იქნება საზოგადოებაში.

**კუკური ფიფია,**
**"აია"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი**

## მ ი მ ა რ თ ვ ა

**გახარიების გვარის სათათბიროს გადაწყვეტილებით, გვარის დღედ გამოცხადდა 17 დეკემბერი, წმინდა ბარბარეს დღე. რადგან გახარიები ოდითგანვე წმინდა ბარბარეს მიიჩნევდნენ თავიანთ მფარველ წმინდანად. ამიტომაც ჰქონდათ ცალკე სალოცავი ადგილი, სადაც პატივს მიაგებდნენ წმინდა ბარბარეს, ავედრებდნენ თავიანთ ოჯახებს, თხოვდნენ შვილების სიმრავლესა და მათ ჯამრთელობას.**

**ჩვენი, დღევანდელი გახარიების მიერ წმინდა ბარბარეს ხატის დაწერა, მისი კურთხევა და გვარის დალოცვა პატრიარქის მიერ, ეს არის საუკუნეების წინ დაწყებული ჩვენი წინაპრების გზის გაგრძელება და მათი ხსოვნისადმი დიდი პატივისცემა.**

**ამიერიდან გახარიები შევიკრიბებით ყოველ ბარბარობას, 17 დეკემბერს, მუხურში დღის 12 საათზე. გამოვაბრძანებთ, დღევანდელი ჩვენი გვარის წარმომადგენელთა დიდი მონდომებით დაწერილ წმინდა ბარბარეს ხატს ეკლესიიდან, მოვაწყობთ მსვლელობას ჩვენი წინაპრების მიერ, საუკუნეების წინ არჩეულ ადგილამდე. მოვილოცავთ, შევთხოვთ უფალსა და წმინდა ბარბარეს ჩვენი გვარის, ჩვენი ოჯახებისა და ჩვენი სამშობლოს, სრულიად საქართველოს ჯამრთელობასა და ბედნიერებას, მშვიდობასა და სიუხვეს.**

**გვარის სათათბიროს სახელით,**

**ზაურ გახარია**

# ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს – 8 ნოემბერი ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე იყო



1837 წლის 8 ნოემბერს სოფელი ყვარელში დიდი ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (1861-1907 წლები) ლიდერი ილია ჭავჭავაძე დაიბადა, რომელის სიცოცხლე 1907 წლის 12 სექტემბერს წიწამურთან ტრაგიკულად შეწყდა...

საქართველოს ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და დღეს მის წიაღში ილია მართლის სახელით მოიხსენიება.

გვინდა, მისი გენიალური და უკვდავი ბრძნული ფრაზები, გამონათქვამები და აზრები გავიხენოთ, რომლებიც ყოველ დროში აქტუალურია და ძალას არ კარგავს.

– ადამიანი თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურს ჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს მისი შთამომავალი.

– ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს, მით იყვის უკეთ.

– ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა.

– არამც თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებულის კაცისათვის.

– ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდგვაროდაც დიდია.

– აწმყოს, რომელსაც წარსული არ აქვს, არც მომავალი აქვს.

– ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს!

– ადამიანის გული თვალუწვდენელი ორმოა.

– ბედს თვითონ კაცი ქმნის და არა ბედი კაცსა.

– ქვეყანაზე, რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა.

– ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული – გაგითბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში – ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, – ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა, პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა, ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდახან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის... ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?.. რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა.

– დიდი სიბრძნეა კაცისა, ცნობა თავისი თავისა.

– როცა ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო მწყურვალი ვიყავ და არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავიო... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!

– არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტისმეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი.

– ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი.

– ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო. ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

– იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდან მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვერ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე გაკიცხვისა.

– დამუნათებული, წაყვედრებული კეთილი... ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანად.

– თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვალემა მადლობით სთქვას: **"ნანერგითა შენით მარგე".**

– პატარა ნიჩბითაც ბევრი რამ გაკეთდება და ძალიან შესაძლოა ცოტ-ცოტაობიდან დიდი საქმე გამოვიდეს.

– ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არა ჰყავს.

– თუ სათავე მღვრიეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა.

– მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე.

– ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან.

– ხვალე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია.

– ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ.

– თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა.

– კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, – აბა დღეს მე ვის რა ვარგე?

– სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა: სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა.

– სიტყვა თქმაა და არა ქმნა. თქმასა და ქმნას შორის დიდი ზღვარია.

– რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, – პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს.

– ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან.

**ლალი ფაცია**

# "ყოველი ტყვია, რომლიც ჩემს ცოლს მოხვდა, ჭრილობაა იმ ღმერთის გულში, რომლის გამოც ბრმად კლავთ"



13 ნოემბერს, პარიზში, საკონცერტო დარბაზ **"ბატაკლანში"** დატრიალებული უბედურების დროს გარდაცვლილი ჰელენ ლეირისის მეუღლემ ანტუან ლეირისმა **"ფეისბუკის"** საკუთარ გვერდზე სულისშემძვრელი წერილი გამოაქვეყნა, რომელიც თავისუფლებისმოყვარე ყოველი ადამიანის გულამდე აღწევს და ღირსეული პასუხია სიძულვილითა და ზიზღით სავსე ადამიანების ჩადენილ დანაშაულებზე:

**"პარასკევს საღამოს თქვენ მოიპარეთ გამორჩეული ადამიანის, ჩემი ცხოვრების სიყვარულისა და ჩემი ვაჟის დედის სიცოცხლე, მაგრამ მე არ ვაპირებ თქვენს შეძულებას. არ ვიცი ვინ ხართ და არც მინდა ვიცოდე, თქვენ მკვდარი სულები ხართ. ყოველი ტყვია, რომელიც ჩემს ცოლს მოხვდა, ჭრილობაა იმ ღმერთის გულში, რომლის გამოც ბრმად კლავთ.**

**ასე, რომ თქვენ ჩემგან ვერ მიიღებთ საჩუქრად სიძულვილს, რადგან სწორედ ამას ცდილობთ... ცდილობთ ჩვენში სიძულვილისა და ზიზღის გაჩენით, თქვენნაირებად გვაქციოთ. თქვენ გსურდათ შემშინებოდა და ჩემი თანამოქალაქეებისთვის შემეხედა უნდობლად, უსაფრთხოებისთვის შემეწირა თავისუფლება, რასაც ვერ ეღირსებით. თქვენ დამარცხდით!**

**რამდენიმე დღისა და ღამის ლოდინის შემდეგ მე ის ამ დილას ვნახე... ის ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც პარასკევს საღამოს, ისეთივე ლამაზი, როგორც თითქმის 12 წლის წინ, როდესაც თავდავიწყებით შემიყვარდა. რა თქმა უნდა, ახლა საშინლად მტკივა და ეს თქვენი პატარა გამარჯვებაა, მაგრამ ეს დიდ ხანს არ გაგრძელდება, ვიცი, ის ჩემთან იქნებ ყოველ დღე და ჩვენ ერთად ვიქნებით თავისუფალი სულების სამოთხეში, სადაც თქვენი ადგილი არ არის.**

**ახლა ჩვენ ორნი ვართ – მე და ჩემი შვილი, მაგრამ უფრო ძლიერები, ვიდრე მთელი მსოფლიოს არმიები ერთად. თქვენთვის მეტი დრო არ მაქვს, მელვილს უნდა მივხედო, რომელიც ახალ იღვიძებს. ის ახლა 17 თვისაა, ჩვეულებისამებრ, ისაუზმებს, მერე ერთად ვითამაშებთ როგორც ყოველთვის, იცოდეთ, მთელი თქვენი ცხოვრების განმავლობაში ეს ბიჭი თავისი ბედნიერებითა და თავისუფლებით, გაგაწამებთ, რადგან თქვენ ვერც მის სიძულვილს ეღირსებით!"**

როგორც ფრანგული გამოცემები წერენ, 35 წლის ჰელენი ვიზაჟისტი იყო და იმ დღეს მეგობრებთან ერთად ესწრებოდა კონცერტს.

***"ილორის" კომენტარი – არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ერთი ფაქტი – როცა, 2015 წლის 13 ივნისს თბილისში სტიქიური უბედურება მოხდა და მდინარე ვერეს ადიდებამ მსხვერპლი გამოიწვია, რუსეთის ხელისუფლებამ სამძიმრის წერილი გამოგვიგზავნა და საჭიროების შემთხვევაში მაშველთა კორპუსის დახმარებაც შემოგვთავაზა. ახლა, როცა დადასტურდა, რომ რუსული თვითმფრინავი ტერორისტებმა ჩამოაგდეს, რამაც 234 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ ჩვენს ხელისუფალთ სამძიმრის დეპეშაც კი არ გაუგზავნიათ რუსი ხალხისათვის.***



## პოეზიის კუთხე

### ნანინა

ჟუდე გედგ დო
კოჩი გერე,
ჩხოუ გებიჯ,
ჯა გეჩანს,
მარგალურიშ
ვამიჩქ გერე,
გეგნოთანგე,-
მუს მერჩანს?
ჩხოუ ხოლო
გერენია,
შხვაში ნინა
ეკიშქვანს.
წყარს დინოდგ დო
წყარს დინიორე,
მალს დინობიჯ,
დინოჩანს,
ფერდის მუკოდგ
დო მუკორე,
მუკობიჯ დო
მუკოჩანს.
ჯას გითოდგ დო
ჯას გითორე...
გინმათანგალ
ნინა სო რე?
მელ მინოდგ დო
მელ მინორე,
მინობიჯ დო
მინოჩანს.
მოხილს გინოდგ
დო გინორე,
გინობიჯ დო
გინოჩანანს.
ინ ინოდგ დო
ინ ინორე...
გინმათანგალ
ნინა სო რე?
ვეს წუმოდგ დო
ვეს წუმორე,
წუმობიჯ დო
წუმოჩანს.
მითე მითოდგ
დო მითორე,
მითობიჯ დო
მითოჩანს.
ძგას ეკოდგ დო
ძგას ეკორე...
გინმათანგალ
ნინა სო რე?
გონთეს აშადგ
დო აშარე,
აშაბიჯ დო
აშაჩანს.
წკვაფანს ალადგ
დო ალარე,
ალაბიჯ დო
ალაჩანს.
ჟი მუნოდგ დო
ჟი მუნორე...
გინმათანგალ
ნინა სო რე?
ჩქიმ ნანინა
სატანკუჩხეს
გუთმოურთუნს
შურიშ ტანს:
წელიშ ეშე
მუკოქუნა,
წელიშ გიმე
მითმიდვანს.
მარგალურიშ
ვამიჩქ გერე,
გეგნოთანგენ,-
მუს მერჩანს?
ჯიშ შხვა, ძიქვას
მუკმიქუნანს,
მარგალ ცალო
ვემიდვანს...

**მეუფე ბენედიქტე**
**(ჯალაღანია)**

### გურმეჭვიემს ქიგლუხუნუ ცაშა

გურმეჭვიემსქიგლუხუნუცაშა,
მათგურმმებჭუზოთონიშიჯუნაქ,
მონკაღოზემსქიგლუდღვაზინცვაშა,
მოფთხუასოუმულუშაცუნა.
მიგერგელუ, მიგერგელუსერეფი,
ვარ, ვაკორდუ, მაძინუნანტერეფი,
სოდგარენიქალაღურე, რობუსუ,
ოჭმარეშიმასინთოლეფერეფი.
გურმეჭვიემსქიგლუხუნუცაშა,
მასოიბდა,ნამცასგილეპკვაკვა,
ჩქიმიშურივეგმათირეშხვაშა,
მობრთინიეთიშარათმიდვოქვქვა.

**კოტე ნაჭყებია**
ჩხოროწყუ

*საქართველოს ღირსეული შვილები*

# სერგი დანელია



სერგი დანელია ქართული ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. იგი იკვლევდა ფილოსოფიისა და ხელოვნების ისტორიას, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის პრობლემებს, სოციოლოგიის თეორიას, ლოგიკას, ეთიკას, ლიტერატურის ფილოსოფიის შინაარსსა და ისტორიას...

სერგი დანელია დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ ნაჯახაოში 1888 წლის 27 ოქტომბერს. 1895 წელს პატარა სერგი შეიყვანეს ბანძის სამრევლო სკოლაში. ბეჯითმა და ნიჭიერმა მოწაფემ სწავლა შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში გააგრძელა. გიმნაზიის მაშინდელმა დირექტორმა ო. ჩებიშევმა სერგი სწავლის ქირისგან გაანთავისუფლა და როგორც წარჩინებულ მოწაფეს ნება დართო ესარგებლა მისი პირადი ბიბლიოთეკით.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სერგი სწავლას აგრძელებს ოდესის, ხარკოვის, მოსკოვის უნივერსიტეტებში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტებზე ფილოსოფიის სპეციალობით.

სტუდენტობის წლებშივე აქვეყნებს ნაშრომებს პრაგმატიზმის, კანტის ეთიკისა და დეკარტეს გნოსეოლოგიის შესახებ.

სერგი დანელიამ თბილისის უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო 1922 წელს, სადაც ლექციებს კითხულობდა ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის და რუსული ლიტერატურის ისტორიის შესახებ. პროფესორი გურამ თევზაძე ასე აფასებს სერგი დანელიას მოღვაწეობას: **"იოანე პეტრიწის შემდეგ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას არ ჰყოლია მკვლევარი, რომელიც ასე მასშტაბურად იკვლევდეს ორიგინალში ბერძენ, ლათინურენოვან, ფრანგ, ინგლისელ, გერმანელ და რუს მოაზროვნეთა შრომებს".**

უნივერსიტეტში მუშაობისას, ფაქტობრივად ორ წელიწადში, აქვეყნებს შემდეგ ნაშრომებს: **"ანტიკური ფილოსოფია სოკრატემდე" (1925 წ.), "ქსენოფონე კოლოფონელის ფილოსოფია"(1925 წ.)** და **"სოკრატეს ფილოსოფია" (1930 წ.). საფუძვლიან შრომებს წარმოადგენენ მისი გამოკვლევები ატომისტურ ფილოსოფიაზე, კანტის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე. ს. დანელიას ეკუთვნის არისტოტელეს "პოეტიკის" ქართული თარგმანი და მასზე დართული ვრცელი შესავალი წერილი. მანვე ქართულად თარგმნა დეკარტის "მეტაფიზიკური განაზრებანი".** ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი **"გამოკვლევები მსოფლიო და რუსული ლიტერატურის კლასიკაზე", "პარმენიდეს მეტაფიზიკისათვის", "პიროვნების პრობლემა მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიაში", "ქსენოფანე და უსაზღვროების საკითხი", "კვინტილიანეს პედაგოგიური პრინციპები", "ჰელვეციუსის ზნეობის თეორიის გამოკვლევის ცდა"** და ა.შ.

სერგი დანელიას ფილოსოფიური ნაშრომები გამოირჩევა ღრმა ანალიზით და დამაჯერებლობით. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი "სოკრატეს ფილოსოფია". ყველასათვის ცნობილია, რომ თავად სოკრატეს წერილობით არაფერი დაუტოვებია. მის შესახებ ფილოსოფოსები მსჯელობენ მისი მოწაფეების ქსენოფანტეს, პლატონის და არისტოტელეს თხზულებების მიხედვით. სწორედ მათ შრომებშია სოკრატეს ფილოსოფიური შეხედულებები ჩამოყალიბებული, მაგრამ მათი ნააზრევი ზოგიერთ საკითხში ერთიმეორეს არ ემთხვევა. ამის გამო, ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარნი განსხვავებულ შეხედულებებს გამოთქვამენ სოკრატეს პიროვნებაზე და მის ფილოსოფიაზე. სერგი დანელია ღრმად აანალიზებს ყველა პოზიციას, იძლევა მათ შეფასებას და აყალიბებს საკუთარ აზრს სოკრატეს პიროვნებაზე და მის ფილოსოფიურ შეხედულებებზე. შეფასების კრიტერიუმად მას სოკრატეს ცხოვრება და მისი ბედი მიაჩნია. აქედან გამომდინარე მეცნიერი ასკვნის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სოკრატე და როგორი იყო ის.

1927 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი **"ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი"**, რომელიც მაშინ გააკრიტიკეს როგორც ნაციონალისტური შინაარსის მქონე, ხოლო ოცი წლის შემდეგ, 1949 წელს ამ ნაშრომს აკრიტიკებენ როგორც კოსმოპოლიტური შინაარსის მქონეს. ამის გამო იგი გაათავისუფლეს და უნივერსიტეტი დაატოვებინეს.

სინამდვილეში განთავისუფლების მიზანი სულ სხვა რამ იყო.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მაშინდელმა მდივანმა როსტომ შადურმა დაათავისუფლა და მის ადგილზეე კათედრის გამგედ თავისი ძმა დანიშნა!

ოჰ, ღმერთო! დღევანდელ ქართველს ამგვარი გარეწრობით ველარ გააკვირვებ, ჩვეულებრივ ამბად იქცა! არამც თუ ერთი კათედრის გამგეს ხსნიან, მთელი უნივერსიტეტი დაანგრიეს!

ხუთწლიანი უმუშევრობის შემდეგ დანიშნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა.

აღსანიშნავია სერგი დანელიას ნაშრომები გრიბოედოვისა და პუშკინის ნაწარმოებთა ფილოსოფიის შესახებ, ჩერნიშევსკის ესთეტიკის შესახებ და სხვა. იგი ლექციებს ატარებდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში პუშკინის, გრიბოედოვის, ბელინსკის, ლევ ტოლსტოის, სალტიკოვ-შჩედრინის და სხვათა შემოქმედების შესახებ.

სერგი დანელია მოულოდნელად გარდაიცვალა უნივერსიტეტის აუდიტორიაში 1963 წლის 20 მარტს, სიტყვით გამოსვლის დროს... გულმა უმტყუნა... როგორც დიდი ივანე...

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მოაზროვნის შესახებ ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული პროფესორებს ე. კოდუას, ბ. ურიდიას, ბ. კარტოზიას.

**თენგიზ კუბლაშვილი**

---

## ალექსანდრე შენგელიას ბლოგი



**ბ-ნო რედაქტორო**

სოროსის ძუძუნაწოვი **"რესპების"** მიმართ ჩვენი შეხედულებები რომ იდენტურია, ამაში ეჭვი ოდნავაც არ მეპარება და ამიტომ მადლობელი დაგრჩები, თუ ამ **"დიალოგს"** გამოაქვეყნებ.

მე, როგორც **"კაკაბეთის ზარების"** ავტორი და ყრმობისას კახეთში აღზრდილი, ვალდებული ვარ, რომ გარე კახეთში გამართულ შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით ჩემი შეხედულება კახური პირდაპირობით ვუთხრა ყველას, ვინც მოვალეა, რომ მისმინოს!

**ალ.შენგელია**

### ძმანნო კახელნო!

*გასაუბრება საგარაჯოელებთან*

არჩევნების დღე მან არ ნახული
ჯარის მანევრით რომ გაახურა,
ვისაც გახურავთ ქუდი კახური,
თქვით, რა დავარქვათ ამას კახურად?
თქვით ნეპოტიზმმა რატომ წანისლა
გზა კაკაბელთა ქებულ რძალისა
– რა გვეთქმის?
არის კრახი თიკოსი
გამინისტრებულ პოლიტიკოსის!

### შავი ფლასი

*ორი ამონარიდი პოემიდან*

*ოთხი წლის წინათ, 2011 წლის 22 ნოემბერს, სიკვდილის წინ ქართველად და ნათელად გარდაქმნილი სვეტლანა-ლანა ჯუღაშვილ-სტალინა-ალილუევა-პეტერსი ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ რიჩლენდის უპატრონოთა თავშესაფარში 85 წლისა და 9 თვის ასაკში ყველასგან მიტოვებული აღესრულა.*

*მამაზეციერო, გვედრი, მხევალსა შენსა შეუნდე ნებსითი თუ უნებლიე დანაშაული, რამეთუ სულიერთაგან ცის ქვეშეთში რა არს ვინმე, ვინც ცხონდეს და არ ცოდოს!*

***ავტორი***

### დღე უკანასკნელი

*ამ დღეს ძალზე მძიმედ იწყებს;*
*უკვე ყველგან დაივიწყეს,*
*მიაგდეს და გაიმეტეს.*
*კიბო ჭამს და კიბო ზაფრავს*
*ღრმად მოხუცთა თავშესაფარს*
*და ქალბატონ ლანა პეტერსს.*
*მაინც მსჯელობს, განა ბოდავს:*
*„ჩემს ამბავს რომ მოსწრებოდა,*
*მამა სიკვდილს მომისჯიდა...*
*ღირსი რომ ვარ,*
*ნათელია!"*
*მონანიე აგრერიგად,*
*გმობს რუსეთს და ამერიკას*
*და ამბობს, რომ*
*ნა-თე-ლა-ა,*
*ქარ-თვე-ლი-ა!*

### ეპილოგი

*„ჰეი, განი, ჰეი, განი!*
*შადიმანის მინამგვანი,*
*უცხო ჯურის, უცხო გვარის*
*ყოჩი გვყავდა ჩვენ იმგვარი,*
*სხვათა აფრა აუშვა და*
*მემორიალს აუშარდა,*
*ქანდაკებებს აუშარდა,*
*მამის სული გაუშვა და*
*ძეგლი დადგა რეიგანის!*
*ამას თითქოს რა უშავდა,*
*მაგრამ რომ არ დაუშალეს*
*და ზღვის გაღმაც გაიტრუნნენ,*
*ძალზე ბევრი დაგვიშავა.*
*მერე სულ მთლად აიშვა და*
*ძეგლს უდგამდა ჰარი ტრუმენს...*
*. . . . . . . . . . . . . . . . . . . .*
*კიდევ კარგი, გავისტუმრეთ!*
*ინდი-მინდი. ინდი-მინდი,*
*დღეს ღამე ცვლის,*
*ნათელს – ბინდი*
*და ცხოვრება იმფერია,*
*ახალ ბატონს გვაყმეს რაკი,*
*ხიროსიმა-ნაგასაკზე*
*აღარ ისმის ლაპარაკი,*
*რომ აამონ იმპერიას.*
*ჰაი, გიდი!*
*ჰაი, გიდი!*
*საქართველოს*
*ვინ სად ჰყიდის?*
*ცხოვრება კი ისევ მიდის*
*და გაშორდა*
*ფონს და მიზანს,*
*შერისხული მამის ფასად,*
*დახურული შავი ფლასით,**
*ჯუღაშვილის, სტალინას და*
*ალილუევ-პეტერსის გზა!*

*ფლასი – ბალნის ძაძა (სულხან-საბა)

**ალექსანდრე შენგელია**



## ასეთი ბუნებრივი მინდა, ჩემი სამშობლო და მისი მომავალი!

მოცალეობისჟამს, ინტერნეტსივრცეში ხეტიალისას, სრულიად შემთხვევით გადავაწყდი ამ სასწაულ **„ფოტო-ნატურმორტს"**, რომელსაც ადამის მოდგმის, ქართველი გამგრძელებელი (რა სახელიც გინდათ დაარქვით მას) აცოცხლებს!

ამ დღეებში, ჩვენი სამშობლოდან არც ისე შორს, საომარი მოქმედებების პოლიგონებზე და ევროპის შუაგულში, უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტის ისტერიულ ფონზე, ინტერნეტსივრცეში ამ **„ფოტო-ნატურმორტის"** გამოჩენამ, სიხარულთან ერთად დიდი გულისტკივილიც გამიჩინა, რადგან, ვხედავ, რომ ეს ცეცხლი და კაცთაკვლა ჩემს სამშობლოსაც შეიძლება გადასწვდეს. ამის გამო, ყოველგვარი მორიდების გარეშე მივმართავ მის გამჩაღებლებს:

თქვენ, – ტვინ და სქესარეულო **"ევრო-ამერიკელებო"** და თქვენი გარყვნილი იდეოლოგიის, საქართველოში დამამკვიდრებლებო,– იქნება შეედაროთ ამ ბუნებრიობას (იმათ საყურადღებოდ, ვინაც, შესაძლოა **„რუსეთუმედ"** მომიხსენიოს, ვაცხადებ – როცა მე და ჩემი თანამოაზრენი, რუსულ-იმპერიულ დიქტატურას ვებრძოდით, გაიკითხეთ – თქვენი მამა-პაპანი, რუსეთის სამსახურში თავის სადურთავად, არანაირ ხერხს არ თაკილობდნენ!), სადაც – ბუნება, ბავშვი და ადამიანისეული ფანტაზია, ფანტასტიკურ ჰარმონიამდეა ასული!

ევროპელებო, – ბუნების საწინააღმდეგოდ სიარულის გამო, ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების საროსკიპოებად, კუჭის ამოსაყორ რესტორნებად და საცხოვრებელ სახლებად გაყიდვის გამო გენგრევათ და გექცევათ თავზე ევროპა!

ევროპელებო,– გაიღვიძეთ, განთავისუფლდით მონის ფსიქოლოგიისგან, რომ – ვიღაცამ, მეორე მსოფლიო ომის დროს, მისივე დაბომბილი, დანგრეული და ნაცარტუტად ქცეული შენობა-ნაგებობები აღგიდგინათ და არა – ერთ ღამეში დრეზდენში დახოცილი 300.000 უდანაშაულო ქალი, ბავშვი და ჰოსპიტალიზირებული ავადმყოფი... ევროპა კი არ აღდგა, ევროპა საცხოვრისად ვარგისი გახადეს, სანაცვლოდ სულიერება გამოაცალეს!

გაიხსენეთ,– რანი იყავით მეორე მსოფლიო ომამდე (რომლის გაჩაღებას, სამწუხაროდ, ვერავის ვერ დააბრალებთ საკუთარი თავის გარდა!) და რა გახდით,– ბახის, ბეთხოვენის, მოცარტის, ვაგნერის, შუბერტის... შემდეგ, – ოკეანისგაღმიდან შემოტანილი ინვესტიციებით გარეპებულსქესმანიპულირებულნი!

ეს დიდი და სერიოზული თემაა, რომელსაც, საფუძვლიანად ამ დღეებში მივუბრუნდები!

**დავით ქობალია**

**P.S. მადლობა იმ ფოტოგენიოსს, რომელმაც ეს „კადრი დაიჭირა"!**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია)



## პრენესანსი საქართველოში – შოთა რუსთაველი

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩვენს სამღვდელოებას ჰქონდა უშუალო კავშირი ბიზანტიასთან: საქართველოში ბიზანტიიდან შემოჰქონდათ ხატები, ეკლესიის მორთულობანი, მხატვრული ფრაგმენტები, საღებავები; ბიზანტია, ყარაყორუმი, სამარყანდი, ბაღდადი კომერციულ და კულტურულ-მეცნიერულ ურთიერთობაში იყვნენ. მეთორმეტე საუკუნის დამლევი და მეცამეტე საუკუნის დასაწყისი აზიასა და ევროპაში ქმნის თითქმის ერთნაირ კულტურულ-ცივილურ არეს, რომელსაც ისტორიულად წინ უძღოდა ხალხთა დიდი გადასახლებანი, ჯვაროსანთა ლაშქრობა, სხვადასხვა კუთხეთა და სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური და კომერციული ინტერესები. საქართველო ტერიტორიულად მოქცეული იყო ამ არეში, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა მის ისტორიულ-კულტურულ მაჯისცემაზე.

რუსთაველის პოემა დაწერილია დიდი ესთეტიკურ-აკადემიური და ლიტერატურული კულტურით. მთელი პოემა სამ ნაწილად იყოფა: შესავალი, ფაბულა და ბოლოსიტყვა. შესავალი წარმოადგენს ესთეტიკური წარმოსახვის გარკვეულობის, მთავარი იდეოლოგიური პრინციპების დამუშავებისა და აკადემიური დაწყობის იშვიათ მაგალითს მსოფლიო ლიტერატურაში. შესავალში რუსთაველი თემატურად ეხება ღვთაებისა და მეფის ურთიერთობას, პოეზიის ბუნებას და განსახოვნებას, სიყვარულის იდეას; მართალია, დღემდე გამოცემულ რედაქციებში შესავლის ტექსტის თემატური ხასიათი არეულია, მაგრამ ეს გადამწერთა ბრალია: სადაც შაირობაზეა ლაპარაკი, იქ მიჯნურობაც არის დახასიათებული, სადაც მიჯნურობას ახასიათებს ტექსტი, იქ შაირობასაც ეხება; მაგრამ მაინც გარკვევით ჩანს პირვანდელი ორიგინალის კატეგორიული სისტემა და გააზრება, პოეტური თქმის აკადემიური წყობა.

ფაბულა აწყობილია მაღალი კულტურის იდეოლოგიური პრინციპით. დარბაზობა, ნადირობა, შემთხვევები, შეყვარებულის ველად გაჭრა, გმირობისა და მეგობრობის კულტი, მძლეობისა და სილამაზის იდეა, სიმდიდრე, სიუხვე, მოცალეობა, ბრძოლა, ჭვრეტა და რომანტიკა შეადგენენ დასრულებული ესთეტიკურ-მორალური კულტურის თვისებებს.

პოემა გაშლილია სხვადასხვა სახელმწიფოში. არაბეთი, ინდოეთი, მულღაზანზარი და ქაჯეთი გმირთა სამოქმედო არეებია. **"ვეფხისტყაოსნის"** შინაარსი არ არის ვიწრო ნაციონალური, არც ეთნოგრაფიული. მთელი პოემა თავის გმირებით და ეგზოტიკით დაძლევაა ეთნოგრაფიული კარჩაკეტილობისა და პროვინციალიზმისა; გმირები ფიზიკურად და სულიერად წარმოადგენენ მაღალი კულტურის, მორალისა და სილამაზის განსახიერებას. ბოლოსიტყვაობაში მოცემულია პოემის ლოგიკური დასკვნა დალიტერატურული პრესიოზობა: რუსთაველის თქმაში ყოველთვის აღმოაჩენთ სოციალური განცდის დიაპაზონს; ბოლოსიტყვაობაც ატარებს ამ ნიშნებს. ბოლოსიტყვაობაშიც არის მეფის გაღმერთების იდეა, მზის სიმბოლური ხსენება, დავითისა და თამარის ქება აღმოსავლეთის და დასავლეთის **"ზართა მარებლად, ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გასახარებლად"** (1663). ბოლოსიტყვაობაც დაწერილია რუსთაველის ჩვეული რიტმით და ინტონაციით.

ლიტერატურა ერთი ფორმათაგანია ადამიანის შემოქმედებისა; როგორც მთლიანად ხელოვნება, ისე ლიტერატურული ნაწარმოები ადამიანის ესთეტიკურ მიღწევას გამოხატავს: სიტყვების შერჩევა და განლაგება, სახეების გამოკვეთა, ზოგადი იდეების გამოთქმა ლიტერატურაში შეფარდებულია ადამიანის საერთო კულტურულ-ისტორიულ მდგომარეობასთან. ხერხი, რომელსაც ადამიანი თავისი აზრის გამოსათქმელად ხმარობს, არასოდეს არის თავისუფალი შერჩევის შედეგი; მხატვრული ნაწარმოების სტილი თავისუფალი გამოსახულებაა; დიდი ლიტერატურული ნაწარმოების ფორმასა და უბრალო, ყოველდღიური ცხოვრების ფორმას შორის ორგანული კავშირია; დანტეს ან შექსპირის ლიტერატურული ტექნიკა ესთეტიკური მოდუსებია მრავალ საუკუნეთა სოციალური მეტყველების კულტურისა.

ეპოქას აქვს ყოველთვის ერთგვარი სიმპათია ამა თუ იმ ლიტერატურული ფორმისა და, თუ გნებავთ, ჟანრისადმი. არის ლიტერატურაში ეპოქები ეპოსისა, არის ეპოქები ლირიკისა, არის შერეული ჟანრის ეპოქები. დიდი ხნიდან განმტკიცებული სოციალური ტრადიციის ეპოქა ყოველთვის ეპოსით ხასიათდებოდა; ეპოქას აქვს შერჩეული განსაკუთრებული მხატვრული სახეები და სიტყვების დალაგება, განსაკუთრებული რიტმი მეტყველებისა და იდეათა გაშლისა. **"ვისრამიანი"** და **"ვეფხისტყაოსანი"**, **"ამირანდარეჯანიანი"** და **"აბდულმესია"** ერთმანეთს ძალიან უახლოვდება ესთეტიკურად; ყოველ სტრიქონში ირხევა სოციალური ძალის პათოსი, მეტყველების კულტურის დიდი ხერხები, აზროვნების გაშლილი ჰორიზონტი, ლაღი და ფსიქოლოგიური სისავსის გამომხატველი რიტმი.

**"ამირანდარეჯანიანსა"**, **"ვისრამიანსა"** და **"ვეფხისტყაოსანში"** გამოსახულია მაშინდელი მსოფლიოს მოარული იდეები და პრინციპები; **"ვეფხისტყაოსანში"** ჩვენ ვხედავთ არა მარტო მანის მოძღვრებას, არამედ მიტრას, დიონისოს და აპოლონის კულტებსაც, აღმოსავლეთის კოსმოლოგიურსა და ასტრონომიულ იდეებს, არაბეთის ზნეობრივ ფილოსოფიას და ქართული ფეოდალური არისტოკრატიის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ მსოფლშეგრძნებას. მთელი **"ვეფხისტყაოსანი"** წარმოადგენს ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელსაც გარკვევით ეტყობა, რომ დაწერილია არა მარტო დიდი ხელოვანის, არამედ დიდი მეცნიერის მიერ. **"ვეფხისტყაოსნის"** არქიტექტონიკა ძალაუნებურად გვაგონებს მხატვრული თქმის ისეთ დიდოსტატებს, როგორიც იყვნენ: დანტე, შექსპირი, გოეთე და ტოლსტოი.

რუსთაველის პოემა დიდაქტიკურ-მეცნიერული ხასიათისაა; შესავალში გარკვეულია ავტორის შეხედულება სხვადასხვა საკითხებზე; პოემა იწყება სამყაროს დიდებით, ხელმწიფის ქებით, პოეზიისა და სიყვარულის განმარტებით; მსოფლიო ლიტერატურაში ჩვენ არ გვეგულება მწერალი, რომელიც პოეზიისა და სიყვარულის უფრო ორიგინალურ და დაკვირვებულ განმარტებას იძლეოდეს. ამასთანავე, ეს განმარტება სრულებით არ არის ზედმეტი, ხელოვნურად მიკერებული. ამ განმარტებას აქვს ორგანული კავშირი პოემის მთელ ფაბულასთან; თითქოს ფაბულა სქემატურად ამ განმარტებიდან გამომდინარეობს. რუსთაველი თავიდანვე იწყებს პოემას როგორც მეცნიერ-ფილოსოფოსი, რომლის წინაშე გადაშლილია სამყარო **"უთვალავი ფერითა"**. სამყაროს სიდიადე და მრავალფეროვნება რუსთაველის წარმოდგენაში სახავს ღმერთის იდეას, მაგრამ რუსთაველის შემოქმედი სულაც არ არის ქრისტიანების მამაღმერთი სამპიროვანი, გრძელი წვერით. რუსთაველი არსად არ იხსენებს სამებას. მას ღმერთი ესმის როგორც შემოქმედებითი ძალა; რუსთაველის გაგება ღვთაებისა ფილოსოფიურია და არა დოგმატურ-ქრისტიანული. ჩახრუხაძე ღმერთს იხსენებს როგორც სამებას, მხოლოდ არსებით ერთს; რუსთაველის ღმერთი შემოქმედი და ორგანიზაციული ძალაა. ამ ძალიდან არის წარმოშობილი **"ყოვლი ხელმწიფე"**. სიტყვა **"ხელმწიფე"** აქ უნდა გავიგოთ, როგორც მმართველი, ყოველი ხელმწიფე – ყოველი მმართველი. რუსთაველი იყენებს ტერმინს **"მეფე"**, როდესაც ახასიათებს როსტევანს და სხვაგანაც ამ სიტყვას ხშირად შეხვდებით **"ვეფხისტყაოსანში"**, მაგრამ აქ რუსთაველს აზრად აქვს გამოსახოს ცნება **"მმართველი"**. ეტყობა, რუსთაველი ისეთი ეპოქის შვილია, როდესაც სახელმწიფოს დიდი ავტორიტეტი აქვს და ხელმწიფეს აფასებენ. მარტო ეს ადგილი იმის დამამტკიცებელია, რომ **"ვეფხისტყაოსანი"** სწორედ თამარ მეფის ეპოქაშია დაწერილი: სახელმწიფოებრიობა რუსთაველს გამოჰყავს ღვთაებრიობიდან და უნივერსალობიდან. ინდივიდუალიზმის ფილოსოფია მოცემულია პოეტურ თქმაში და მმართველის ძლიერი ნებისყოფა დაკავშირებულია მასთან, ვინც **"შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა"**(1).

**კონსტანტინე კაპანელი**

*(გაგრძელება იქნება)*

# ქალბატონი ცუცა საჯაია, ჩემი უსაყვარლესი ცუცა დეიდა!

არ მინდოდა, მერიდებოდა ოჯახის წევრზე ლაპარაკი და წერა, ძალიან ტკივილიანია, თანაც, წერის ხალისიც, დიდი ხანია, დავკარგე. სიზმარშიც და ცხადშიც უზენაესი მუზის ნაკარნახევ ლექსებს უკვე არც ვიწერ, ვკლავ, ჩემში ვიკლავ ჩემივე ლექსებს, აქაოდა, დაწერილიც უამრავი მაქვს, ურიცხვი, აურაცხელი, იმათ ვერ ვპატრონობ და ახალი რად შევიმატო-თქო, ე.ი. თვითლიკვიდაციის რეჟიმში ვარ უკვე გადასული, მაგრამ არ შემიძლია, ვდუმდე, არ შემიძლია, არ ვთქვა...

წელს გარდამეცვალა ჩემი უსაყვარლესი, უძვირფასესი, ულამაზესი, უკეთილესი, უალალესი დეიდა, დიდებული ქალბატონი ცუცა იოსების ასული საჯაია, ჩემი ცუცა დეიდა...

დაიბადა 1937 წლის 25 ნოემბერს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში. მამა ფრონტზე დაეღუპა, დედა ნერვიულობას, დარდს და ვარამს თან გადაჰყვა, ვერ გადაიტანა საყვარელი მეუღლის დაკარგვა და სრულიად დაობლებული, 6 წლისა, ჩემი ცუცა დეიდა სოხუმში თან წაიყვანა, იშვილა და გაზარდა მამიდამ – აღათია საჯაიამ და ბიძამ, ვლადიმერ წიქორიძემ. გაზარდეს ღირსეულად, სასახელოდ და საამაყოდ. უკრისტალურესი, უსპეტაკესი, უწესიერესი და უპატიოსნესი ადამიანი იყო დეიდაჩემი, უდიდესი და უმაღლესი ადამიანი! წარჩინებით დაამთავრა სკოლა, სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი, რომელიც ახლანდელ უნივერსიტეტებსაც ამეტებდა. მთელ საბჭოთა კავშირში უმსხვილეს სოხუმის საქსოვ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, ჯერ ოსტატის თანაშემწედ და შემდეგ, პატიოსანი შრომით, გახდა მთავარი ოსტატი, მთავარი დამრიგებელი და უფროსი მასწავლებელი. იმავე ინდუსტრიულ ტექნიკუმში ასწავლიდა და კითხულობდა ლექციებს, რომელიც თვითონვე დაამთავრა. ჰქონდა აფხაზეთის, საქართველოს, საბჭოთა კავშირის მთავარი ფეიქრის წოდება, აფხაზეთის, საქართველოს, საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკის წოდება, სამივე მათგანის კულტურის და განათლების დამსახურებული მოღვაწის (ცალკე კულტურის და ცალკე განათლების) წოდება, საპატიო სოხუმელის წოდება, დაჯილდოებული იყო შრომის დიდების სამივე ხარისხის ორდენით, რაც საქართველოში საკმაოდ იშვიათი გახლდათ – მთელ საბჭოთა კავშირში კი სულ სამიოდე ადამიანი ატარებდა ამ ყველაზე უმაღლეს ჯილდოს. იყო სოციალისტური შრომის გმირი, აფხაზეთის, საქართველოს და სსრკ უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, პრიზებს ეხატა მისი სურათი, დაწესებული იყო მისი სახელობის გარდამავალი თასი და ა.შ. და ა.შ...

ვინ მოსთვლის ჩემი ცუცა დეიდას ჯილდოებს, ორდენებს, ჩინ-მედლებს, საპატიო წოდებებს, რანგებს, რეგალიებს, ტიტულებს... სამი დიდი ყუთი დარჩა მედლებით და ორდენებით, სიგელებით სავსე, იქ, სოხუმის ბინაში... 23 წელიწადი გაატარა ჩვენთან, ჩემთან, აქ, დევნილობაში... ღამით მუდამ სოხუმი ესიზმრებოდა, სულ სოხუმში იყო, ის კი არა, მეც ასე ვარ... აი, ასეთი დეიდა მყავდა, მყავს და მეყოლება სულ, სანამ სული მიდგას, მშობლების შემდეგ ჩემი დედაც და მამაც ის იყო, მან გადამატანინა ობლობის სიმწარე, რომელიც უფრო მეტ ასაკში კიდევ უფრო მეტი ტკივილია, ობლობა ყველა ასაკში ობლობაა და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მწვავდება ეს განცდა...

დიდი ადამიანი იყო, გამორჩეული პიროვნება, უდიდესი! უმაღლესი! ჭირნანახი, ჭირვარამიანი, არნახულად ალალმართალი, არნახულად კეთილი, გამცემი, გამღები, ჩუქება იყო მისი ჰობი, ლამის წმინდანი გახლდათ. მას საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია და ჩვენ ვიყავით მისი ოჯახი, ყველა მისი ოჯახი იყო, ყველას შვილივით ექცეოდა. სათანადოდ დავიტირეთ, მას სახელმწიფოს ხარჯზე ეკუთვნოდა დაკრძალვა, მაგრამ არც სახელმწიფო შემიწუხებია და არც აფხაზეთის მთავრობა, ჩემი ცუცა დეიდა ყველამ დიდი გულით, ალალი ცრემლებით დაიტირა, ხალხმა. ის ხომ ულიმილოდ არავის არ მიესალმებოდა, სულ გაღიმებული ელაპარაკებოდა მოსაუბრეს. ეკუთვნოდა დაფასება და ხალხმა დააფასა კიდეც...

მეორმოცე დღეც ღირსეულადაც აღვუნიშნეთ, მკერდზე ვატარებ მის სურათს... ზოგიერთები მსაყვედურობენ – რა ამბავია დეიდის ასეთი გლოვაო. ეს უკვე აპოკალიფსისის დამდგომის ტოლფასია. ნგრევის მასშტაბი კი არა, ნგრევის ხარისხია მთავარი, სულთა ნგრევის, სულნი ინგრევიან... ეს ის ხალხია, ის საზოგადოებაა, რომელთაც ქრისტე აცვეს ჯვარს...

გეშინოდეთ ღვთისა!

**მერაბ ხუბუა**

**P.S.** ყველას ულრმესი, უდიდესი მადლობა თანადგომისთვის, მაგრამ ყველაზე უფრო და ყველაზე მეტად ჩემი უმაღლესი მადლიერება ჩემს კარის მეზობლებს: ბატონ ბადრი გაბელიას, რომელიც თავკაცობდა მიცვალებულის გასვენებას, ქელეხს, მკლავის გახსნას, ორმოცს, მთელ მის ოჯახს: დედას, დიდებულ ქალბატონ ლია შულაია-გაბელიას, მამას, ბატონ მურადი არტემის ძე გაბელიას, ბატონი ბადრის დიდებულ მეუღლეს, ქალბატონ ინდირა ჯეჯელავა-გაბელიას, რომელთაც ყველაფერი, სუფრის ყველა ინგრედიენტი დაამზადეს და მოამზადეს ყველაფერი ასეთი შემთხვევისათვის, ჩემს ნათესავებს, მათგან კი ყველაზე მეტად პაატა, ვახტანგ, მაია და მარიკა საჯაიებს, დალი, თამაზ, თორნიკე და ირაკლი ხუბუებს, ჩემს დიდ მეგობარს, უდიდეს ეროვნულ მოღვაწეს, ბატონ იოანე – ბესიკ იგორის ძე ნარმანიას, რომელიც ჩემთვის შვილიც არის, ძმაც და მამაც, რომელმაც პირდაპირ სული ჩამიდგა და გადამარჩინა ჩემთვის ასეთი არნახული ტრაგედიისას, დიახ, სწორედაც რომ მისმა თანადგომამ გადამარჩინა სულიერად, ჩემზე არანაკლებ იტკინა მან გული დეიდაჩემის გარდაცვალებით. ასევე ასეთივე მადლობა ცნობილ ბიზნეს-ლედის, უდიდეს ქველმოქმედს და მეცენატს, უბრწყინვალეს ქალბატონს ელისო თამაზის ასულ ცაგურიას, დიდებულ ბატონებს: ზურაბ აფაქიძეს, ზურაბ ტყებუჩავას, ლევან გაბელიას, გოჩა სორდიას, ირაკლი ქვარცხავას, მესაფლავეებს, დიდებულ ბატონებს: თამაზ კალანდაძეს, ზურაბ კალანდიას, ბექა ბოკუჩავას, განსაკუთრებული მადლობა ცნობილ ეროვნულ, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს, ქალბატონ თამილა სორდიას, რომელმაც საუცხოო ტელევიზორი მაჩუქა, რადგანაც უტელევიზოროდ ვიყავი... განსაკუთრებული მადლობა დიდი თანაგრძნობისათვის ქალბატონ ნატო ფულარიას. მსოფლიოს ნებისმიერი უმაღლესი ელიტა და უმაღლესი კინოსტუდია, მათ შორის, ჰოლივუდიც, პირდაპირ ინატრებდა ასეთი ფილიგრანულად დახვეწილი, უმაღლეს არისტოკრატიული, უზომოდ უზადო გარეგნობის, მანერების, მეტყველების კინო თუ ტელევარსკვლავს. ის ჩემი სულიერი შვილია. დიდი მადლობა ჩემს უახლოეს ნათესავებს, ჩემთვის ყველაზე ახლობელ დიდ ადამიანებს: ქალბატონ მაყვალა (ევა) დემურიას და ბატონ რეზო სიჭინავას, კახა და ეკა (ლელა) სიჭინავებს, ჩემს ძვირფას ბატონ პლატონ (ზურიკო) იონას ძე ჯიქიას, ჩემს უსაყვარლეს, უძვირფასეს ნაირა, რეზო, მანუჩარ, გიორგი გაბელიებს, რომლებიც საკუთარი ოჯახის წევრივით მივლიან და მპატრონობენ მე, ღმერთი გადაუხდით მათ...

**მერაბ ხუბუა**

**P.P.S.** მე მეტს არც შეგაწუხებთ, ოღონდ კი ეს წერილი და ეს მადლობებიც გამომიქვეყნეთ, მადლიერება ჩემი უმთავრესი თვისებაა, მით უფრო, თქვენი გაზეთიდან გაეხარდებათ...

**რედაქციის კომენტარი: ბატონი მერაბ ხუბუა ცალკე წერილით გვაუწყებს, რომ გვიგზავნის აწგანსვენებული ცუცა საჯაიას ფოტოსურათს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, რედაქციას აღნიშნული ფოტოსურათი არ მიუღია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნონა გაფრინდაშვილი კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი



ნონა გაფრინდაშვილი საჭადრაკო არენაზე გამოსვლის დღიდან აოცებდა სპორტულ სამყაროს თავისი უნიკალური შესაძლებლობებით. ჯერ კიდევ ბავშვი იყო ნონა, როცა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპს შეუტია და ძირს დაამხო საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ელიტა, რომელსაც მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, გამოცდილი და უდავოდ ნიჭიერი ქალბატონი ოლღა ბიკოვა ედგა სათავეში. მაშინდელი დოგმატური აზროვნების მქონე ჭადრაკის საბჭოთა **"ბოიარებს"** გაუჭირდათ იმ აზრთან შეგუება, რომ ქალთა მსოფლიო საჭადრაკო არმიას დღეიდან ახალი **"მთავარსარდალი"** ეყოლებოდა ცრიმოლა ბაფთიანი გოგონას სახით, მაგრამ როცა ნონამ მეორედაც დამაჯერებლად მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ყველანი ბედს დამორჩილდნენ.

ამჟამად კი ქართველი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, 74 წლის ნონა გაფრინდაშვილი იტალიის ქალაქ აკვი ტერმეში გამართულ სენიორების 25-ე მსოფლიო ჩემპიონატზე 65 წელს ზევით ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ნონა ბოლო ტურში ქართველ მოჭადრაკეს – თამარ ხმიადაშვილს შეხვდა, რომელთანაც პარტია ფრედ დაასრულა, თუმცა ეს ფრე საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქულათა რაოდენობით პირველ ადგილზე გასულიყო.

ჩემპიონატი 10 ნოემბერს გაიხსნა და 21 ნოემბერს დასრულდა. 65 წელს ზევით მოთამაშეთა შორის პირველობისთვის 10 მოჭადრაკე იბრძოდა, ორი მოჭადრაკე ქალი საქართველოდან, ოთხი – რუსეთიდან, ისრაელიდან და ყაზახეთიდან.

ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია ჭადრაკში (1962; 1965; 1969, 1972, 1975).

ნონა გაფრინდაშვილმა ტიტული დათმო ქართველ მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძესთან – 1978 წელს (6,5:8,5). საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ქალთა შორის მან 1976 წელს მოიპოვა, 1978 წელს ჭადრაკის ისტორიაში პირველად კი – მამაკაცთა შორისაც. ნონა გაფრინდაშვილი არის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის ჩემპიონი.

# ნაციონალთა მორიგი თაღლითურ-პროვოკაციული გამოხტომა

"ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ" 16 ნოემბრიდან პენსიის 50 ლარით გაზრდის მოთხოვნით კამპანია დაიწყო. როგორც საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული მოთხოვნით სპეციალური პეტიცია შემუშავდა, რომელზე ხელმოწერაც ნებისმიერ პენსიონერს შეეძლება.

"ბოლო 3 წლის განმავლობაში ქართული საზოგადოება დადგა ძალიან მწვავე ეკონომიკური პრობლემების წინაშე: შემცირდა ეკონომიკური ზრდა, გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა დასაქმება და ვაჭრობა, გაიზარდა სიღარიბე. განსაკუთრებით მძიმედ ამ ყველაფერმა იმოქმედა ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველ ფენაზე, ჩვენს ასაკოვან მოსახლეობაზე – პენსიონერებზე. მათი პენსია დღეს, დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურების გამო, უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს იყო 3 წლის წინ და ეს იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში გაძვირდა ყველაფერი – წამალი, პროდუქტი და ცხოვრება. ამიტომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია გადაიდგას საგანგებო ნაბიჯი პენსიონერთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მოიმატოს პენსიამ 50 ლარით. ეს სახელმწიფო ბიუჯეტს წელიწადში დაუჯდება 420 მილიონი ლარი. თუ შევხედავთ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, დავინახავთ რომ 2012 წელთან შედარებით 456 მილიონით არის გაზრდილი მთავრობის შენახვის ხარჯები. აი, სწორედ ეს არის ის თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს პენსიონერებს",– განაცხადა დავით ბაქრაძემ.

"ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა უშუალოდ პენსიონერებს მიმართა და მოუწოდა, მათ მიერ დაწყებული კამპანიის ფარგლებში შემუშავებულ პეტიციას ხელმოწერით შეუერთდნენ.

"პოლიტიკური სურვილის შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს რესურსი, რომ 2016 წელს პენსია გაიზარდოს 50 ლარით. კითხვა არის მარტივი – რა სჭირდება დღეს საქართველოს, პრემია თუ პენსია? მე ვფიქრობ, რომ ყველაზე დაუცველ მოსახლეობას სჭირდება პენსია და არა მთავრობის წევრთა პრემიები. ამიტომ ჩვენ დღეიდან ვიწყებთ კამპანიას და მოვუწოდებთ თითოეულ პენსიონერს შემოგვიერთდეს, შემოუერთდეს პეტიციას და თავისი ხელმოწერით დაადასტუროს მოთხოვნა პენსიის 50 ლარით გაზრდის შესახებ. ჩვენ მოვალთ თითოეულ ოჯახში და თითოელ ადამიანს მივცემთ საშუალებას დააფიქსიროს საკუთარი არჩევანი – პრემია თუ პენსია",– აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

**რედაქციის კომენტარი** – *ვერა და ვერ მოიცილა თაღლითობის ბაცილა ავადსახსენებელმა "ნაციონალურმა მოძრაობამ", რომელიც ყველა საძრახისი მეთოდების გამოყენებით ცდილობს კვლავ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, რათა ძველებური დაშნაკური მონდომებით ყვლიფონ საქართველო და ქართველი ხალხი.*

*არ არიან მართლები, როცა ურცხვად ამტკიცებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება მთავრობის შენახვის ხარჯებს 456 მილიონი ლარით ზრდის. ამ ხარჯებში გათვალისწინებულია იმ ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება და სათანადოდ აღჭურვა, რომელიც აუცილებელია კარს მომდგარ საერთაშორისო ტერორიზმთან გასამკლავებლად.*

*ისიც კარგად იციან არამზადა ნაცებმა, რომ პენსიებისა და შემწეობების დაუფიქრებელმა და გაუანგარიშებელმა ზრდამ შეიძლება იმგვარი ინფლაცია გამოიწვიოს, რომ დღევანდელი 100 ლარი ხვალ 30 ლარად იქცეს. სწორედ ამ გზით სურთ მოსახლეობის უკმაყოფილების გამოწვევა პოლიტიკურად გაკოტრებულ ნაცებს, რათა შემდეგ ამღვრეულ წყალში მოახერხონ თევზის დაჭერა!*

*ვერ ეღირსებიან!*

# რადიკალ–ისლამისტური ორგანიზაციები

რელიგიურ ეთნიკური კრიზისები რომელიც ხელოვნურად შეიქმნეს ერაყსა, სირიასა, ლიბანსა, ავღანეთსა და იემენში მადესტაბილებერ ფაქტორად მოევლინა მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებს და ჩრდილოეთ აფრიკას. ასევე დიდი ალბათობით შიძლება გადავიდეს ცენტრალურ აზიასა, კავკასიაზე და თვით ევროპაზეც კი.

რაც უფრო იძაბება სიტუაცია, მით გაურკვეველი ხდება თუ როგორ განვითარდება პროცესები, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს ნაციონალური სახელმწიფოს როგორც სახელმწიფო მოდელის სიცოცხლისუნარიანობას, რადგან მას სულ უფრო და უფრო უჭირს რეაგირება მოახდინოს იმ გამოწვევებზე რომელიც გამომდინარეობს სხვადასხვა ექსტრემისტული დაჯგუფებებიდან. სახელმწიფოს უუნარობა წინ აღუდგეს ტერორისტულ საფრთხეებს მიყავს იგი სხვადასხვა რადიკალური ელემენტების აქტივიზაციისკენ, რომელთა საქმიანობა უმეტეს შემთხვევაში მწვავე რელიგიურ ხასიათს იღებს, რაც თავისთავად იწვევს ძველი და ახალი პრობლემების ერთ დიდ საფრთხედ გადაქცევას.

ამასთან დაკავშირებით დიდ როლს თამაშობს ექსტრემისტთა ორგანიზაციებზე ინფორმაცია, მათი ქმედებების ხასიათი, დაფინანსების წყაროები და შემდეგ კომპლექსური ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს, პირველი – გამოვლინდეს კრიზისის საფუძველი, მეორე – ზუსტი პროგნოზი გავაკეთოთ სიტუაციის შემდგომ განვითარებაზე, რათა უკეთ მომზადებული შევხვდეთ შესაძლო გართულებებს.

პირველ რიგში მინდა განვიხილო ის ტერორისტული და რადიკალ-ისლამისტური ორგანიზაციები რომლებიც დღევანდელი ახლო აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ აფრიკის ქაოსის ავანგარდში არიან.

## ნაწილი 1
## "ისლამური სახელმწიფო"

იმის გათვალისწინებით თუ რა მაშტაბების ტერიტორიებს აკონტროლებს სირიასა და ერაყში და რა მაშტაბების ტერიტორიებზე აქვს გავლენა, ისლამისტური სახელმწიფო თავის თავს განიხილავს როგორც ლიდერს, რადიკალ ისლამისტური ჯიხადისტური ფრონტისა.

მისი შექმნის ისტორია უკავშირდება ამერიკის და მის მიერ შექმნილი კოალიციის ძალების ინტერვენციის შედეგებს ერაყში 2003 წელს. როდესაც რადიკალური ბირთვი აბუ მუსაბ აზ-ზარკავის ხელმძღვანელობით შეუერთდა უსამა ბენ ლადენის ტერორისტულ ორგანიზაციას და მიიღო დასახელება **"ალ კაიდა შუამდინარეთში"**. მაგრამ ღრმა წინააღმდეგობები რომელიც წარმოიშვა პირველ რიგში ჯიხადის პრიორიტეტების არჩევაში და სხვა ისლამისტურ მიმდინარეობებთან ურთიერთობზე **"ცენტრსა" და ერაყის "ფილიალს"** შორის, 2006 წელს მივიდა იქამდე რომ აზ ზარკავის შენაერთი თვითნებურად შევიდა ერაყის ძლიერ ტერორისტულ გაერთიანება **"ისლამისტური სახელმწიფო ერაყში"**-ს შემადგენლობაში, რომელიც ოკუპანების წინაამდეგ საბრძოლველად უყრიდა თავს სხვადასხვა ისლამისტურ ძალებს.

2010 წლის აპრილიდან ორგანიზაციის თავკაცად მოვიდა აბუ ბაქარ ალ-ბაგდადი, გამოცდილი ტერორისტი და მებრძოლი, რომელმაც კარდინალურად შეცვალა გაერთიანების სტრატეგია, კოალიციის გასვლის შემდეგ ერაყიდან მთავარი კონცენტრირება გააკეთა რა სუნიტური პრობლემების გადაწყვეტაზე, მომხრეთა რიცხვი საგრძნობლად გაზარდა. მისი პიროვნების გარშემო მრავალი ჭორი დადის. ზოგი მონაცემით 2005 წელს ის დატყვევებული იყო ერაყის **"კემ ბუკის"** ციხეში საიდანაც გამოსული შეერწყმა ადგილობრივ ტერორისტულ ორგანიზაციას.

მისი სიკვდილის ინფორმაცია ავიადარტყმების შედეგად ბევრჯერ გავრცელდა მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერსია არ მტკიცდება.

## გავრცელების არეალი

არაბული გაზაფხულის სერიების დაწყებასთან ერთად **„ისე"**-მ (ისლამური სახელმწიფო ერაყში) გავრცელება დაიწყო მეზობელ სირიის ტერიტორიაზე სადაც ამერიკული სპეცსამსახურების მიერ რუსეთის მოკავშირე ასადის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის პროვოცირება მოხდა. 2013 წლის 4 აპრილს ერაყის გაერთიანების ხემძღვანელობამ გამოაცხადა **"ისლამისტური სახელმწიფო ერაყსა და ლევანტეში"**-ს (ისილ) შექმნის შესახებ. ამან გამოიწვია კონფლიქტი – ერთ მხარეს აბუ ბაქარ ალ-ბაგდადისა, მეორე მხრივ **"ჯიხად ალ ნუსრის"** და **"ალ ქაიდას"** შორის. სისხლისმღვრელი შეტაკებების შედეგად ალ ბაგდადის მეომრებმა გარდა აღმოსავლეთ ერაყის ტერიტორიებისა, დაიკავეს ტერიტორიები სირიის აღმოსავლეთითაც.

2014 წელს **„ისილ"**-ის მებრძოებმა განახორციელეს ბლიცკრიკი ერაყის ჩრდილოეთ რაიონებში რომელიც ძირითადად სუნიტური მოსახლეობთაა დასახლებული და დაამყარეს კონტროლი რამდენიმე ქალაქზე, მათ შორის სამარიაზე, ბაიჯიზე, ტიკრიტზე. მათი გაჩერება შეძლეს მხოლოდ ქურთულმა შეიარაღებულმა რაზმებმა შეძლეს ნავთობით მდიდარ კირკუკის მიდამოებთან.

2014 წლის ივნისში ერაყის სიდიდით მეორე ქალაქის მოსულის მეჩეთში გამოცხადდა ხალიფატის შექმნის შესახებ, რომელსაც სათავეშიც აბუ ბაკარ ალ-ბაგდადი ჩაუდგა და სახელიც შესაბამისი მიიღო: ამირ ალ-მუმინინი, ანუ ყველა მართლმორწმუნეთა გამგებელი. იმავე დროს სინაის ნახევარკუნძულზე რადიკალურ დაჯგუფება **"ანსარ ბეიტ ალ-მაკდისის"** ხემძღვანელობამ რომელიც ძირითადად ეგვიპტე-ისრაელის საზღვარზე მოქმედებს ხალიფატთან შეერთების განცხადება გააკეთა. სხვათა შორის ამ დაჯგუფებამ აიღო თავის თავზე რუსული თვითფრინავის 321 ჩამოგდება. ისლამური ხალიფატის დროშები აფრიალდა იემენში სადაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, ასევე უკონტროლო ლიბიასა და ავღანეთში.

## ფინანსური ნაკადები

ფინანსებმა რა თქმა უნდა უდიდესი როლი ითამაშა ხალიფატის ელვისებურ გავრცელებაში. **"ფორბსის"** მონაცემებით 2015 წელს ხალიფატის ბიუჯეტი 2 მილიარდ დოლარის შეადგენს, რაც მას ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციად აქცევს. რამდენიმე თვის წინ კი მიმოქცევაში გამოვიდა ხალიფატის ფულის ერთეული – დინარი რომელიც 1,39 ამერიკული დოლარის ეკვივალენტია.

**"ისლამური სახელმწიფოს"** დაფინანსების წყაროები შეგვიძლია დავყოთ ხუთ ნაწილად:

1. უკანონო ოპერაციები ოკუპირებულ ტერიტორიაზე (ბანკების გაძარცვა, კონტროლის დამყარება ნავთობის მოპოვებაზე, ქონების კონფისკაცია, გადასახადის დაწესება ტვირთების და ვალუტის ტრანზიტზე).

2. გატაცებები გამოსასყიდის მოთხოვნით.

3. შემოწირულობები, მათ შორის სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

4. მატერიალური დახმარება, გამოგზავნილი სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციიდან.

5. სხავადასხვა თანამედროვე საკომუნიკაციური ქსელებიდან შეგროვებული შემოწირულობა.

**"ისლამისტური ხალიფატის"** დივერსიფიცირებული ფინანსური მოდელი ასე თუ ისე დამოუკიდებელს ხდის მას გარე სპონსორებისგან, მაგრამ ის ისეა მოწყობილი რომ მართვის მექანიზმის მხარდასაჭერად და შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობისთვის მუდმივად სჭირდება სულ ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობა.

## სოციალური ბაზა

სტაბილური ფინანსური ბაზა ძირითადად საჭიროა ხალიფატის ფართო სოციალური ბაზის შესანარჩუნებლად და ახალი წევრების მოსაზიდად. დღევანდელ დღეს **„ისლამისტური სახელმწიფოს"** ძირითადად ეყრდნობა ერაყის მოსახლეობის სუნიტურ ნაწილს, რომლებიც ძალიან შევიწროებულნი იყვნენ ამერიკის ადმინისტრაციის მიერ ხელდასმული ნური ალ-მალიკის მმართველობის დროს. ხალიფატის მმართველ ბირთვს შეადგენს სადამ ხუსეინის არმიის კადრის ოფიცრები, რომლებიც კოალიციის ძალების მიერ ერაყის ოკუპაციის შემდეგ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ გარდა ალ ბაგდადის შენაერთებს შეუერთდნენ სხვადასხვა ელემენტები – სირიის და სხვა არაბული ქვეყნების სუნიტური მოსახლეობა და ასევე მრავალი დაქირავებული თუ რადიკალი სუნიტი-ისლამისტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდანაც.

**ვიქტორ ცაავა**

# კაცობრიობის პირველი ენა

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებულ ხალხურ გამოთქმებს,ანდაზებს,ლეგენდებსა და მითოლოგიურ თქმულებებს თუ კარგად დავუკვირდებით, შევამჩნევთ მათ შორის მნიშვნელოვან მსგავსებას. მეცნიერებაში გავრცელებულია აზრი, რომ ადამიანები და მათი სამეტყველო ენა გენეტიკურად ერთი საწყისიდან მომდინარეობენ. ბიბლია მიგვითითებს,რომ ყოველი არსება (ხილული თუ უხილავი) ღვთისგანაა შექმნილი. პირველი მამაკაცი იყო ადამი, რის გამოც მის შთამომავლობას ადამიანი ეწოდა. ამბობენ,რომ ადამისა და ევას საცხოვრებელი ადგილი, ედემის ბაღი, მესოპოტამიისა და სპარსეთის ყურეს მიდამოებში მდებარეობდა. მეცნიერებაში არსებობს აზრი, რომ კაცობრიობის აკვანი იყო მესოპოტამიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების რეგიონები: კავკასია, სომხეთი, მცირე აზიის აღმოსავლეთი და დასავლეთ ირანი.

მსოფლიოს პირველი ენა, კაცობრიობის გონებრივი წინსვლის წარმმართველი, წინარე ცივილიზაციის ფუნდამენტჩამყრელი პროტოაიური მოდგმის ენა იყო... პროტოაიელებზე (იგივე პროტოკოლხებზე) და მათ პირველ ცივილიზირებულ საქმიანობაზე წერდნენ უცხოელი მეცნიერები. ესენი იყვნენ: კრეჩმერი, ფერი, მაიერი, კონტი, შახერნერი და სხვები. მათ ჰქონდათ პირდაპირი მითითებები და აგრეთვე მინიშნებები ჩვენს ნათესავებზე.

ჩვენი მოდგმის პირველსაწყისობის დასადასტურებლად მოვიყვან სიტყვა **ლირიკის** მნიშვნელობას, რაც სათუთი და ამაღლებული გრძნობების გამომხატველია. გერმანელი მოაზროვნე ლაიბნიცის სიტყვებია: **„აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა!“** ამიტომ, სხვას თავი რომ დავანებოთ, ვიტყვი რომ ყოველივე ამაღლებული და სათნოებით შემკული ლირიკულობა არის ღერძი ჩვენი არსებობისა, რაც გამოიხატება ღვთის, დედაბუნებისა და სამყაროს შემეცნებაში. აგრეთვე მშობლების, ახლობლებისა, და, საერთოდ, კაცთმოყვარეობის ნაზ, დიდსულოვნებით აღსავსე გრძნობაში. გენიალურობის მამოძრავებელი, შინაგანი წვის განმაძლიერებელი სიყვარული ქვაკუთხედია უდიდესი აღმაფრენისა. ჭეშმარიტი ღირებულებებიდან გამომდინარეობს დახვეწილი გრძნობები. ნებისმიერი უხეშობა და დისჰარმონიულობა კი ლირიზმიდან გადახვევის შედეგად ხდება, ფსევდოხელოვნურობის ნიმუშია და ბუნების განვითარებას ეწინააღმდეგება.

მსოფლიოში აღიარებულია კოლხური ზეპირსიტყვიერების განუმეორებლობა და უნიკალურობა. ხალხის წიაღიდან გამოსული უმშვენიერესი ფენომენია მრავალხმიანი სიმღერები, რომლებიც ომახიანი და ამაღლებული ტონალობით დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელზე. მრავალხმიანობითა და სხვადასხვა ტონალობით, აგრეთვე ბუნებრივი ლირიზმით, გამორჩეულია მეგრულ-ჭანური სიმღერები და საგალობლები. ზეპირსიტყვიერება ხალხის წიაღიდან მომდინარე ფენომენია. წინარეისტორიული კაცობრიობაც ხალხური გახლდათ. ბუნებასთან უშუალო სიახლოვეში ცხოველმყოფელი მისი გრძნობითი სამყარო უბრალო და დიდბუნებოვანი იქმნებოდა. პირველი ენა, რომელიც ბაბილონის გოდოლის აშენებისას დაიშალა და ახალი ენები წარმოიშვა, დღევანდელ კოლხურ ენებს, კერძოდ, მეგრულ-ჭანურს და სხვა მსოფლიო ენებს ენათესავება სულიერი ლირიზმით, ცალკეულ გამოთქმათა და მარცვლობრივი დანაყოფების დატვირთვის მხრივ.

ადამისა და ევას სულიერ, შინაგანი ზრახვითი, სამეტყველო ენასა და თანამედროვე ქართველურ ენებს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ სიახლოვე სულიერებაში, მარცვლობრივ აგებულებასა და არსობრივ დატვირთვაშია.

ქურუმებისა და მეფეთა ენა კაცობრიობის გარიჟრაჟზე, მსოფლიოსათვის სულიერი და მატერიალური ცივილიზაციის მომცემი, დღეს უბრალო სალაპარაკო ენის დონეზეა. ენის დაკნინება და ამაღლება ხდება ღვთის ნებით ან მისივე დაშვებით, ადამიანური ცოდვა-მადლიდან გამომდინარე. ღვთის ნებაში ადამიანის ვნების ჩარევა ამახინჯებს წესიერებას და საერთოდ არაკეთილგონიერების სინდრომს იწვევს საზოგადოებაში.

პროტოაიური ენის პირველსაწყისობა ქვეყნიერებაზე ბევრი თანამედროვე მეცნიერი კვლევის ობიექტია: ბევრი რამ დაიწერა და ბევრი კიდევ დაიწერება. არსებობს მითოლოგიური გადმოცემები, რომლებიც სიმბოლურ-ალეგორიულ ხასიათს ატარებენ და თავისებურად ხსნიან წარსულს. გვაქვს ასეთი ლათინური გამოთქმა: **„სიტყვა გონიერთათვის“.** ყველა წიგნი თავისებურად კარგია, მაგრამ გააჩნია მკითხველს, მსმენელს, თუ როგორ აღიქვამს ამა თუ იმ ფაქტს. ფაქტი, როგორც მოგეხსენებათ, სიმღერაა, ადამიანის შინაგანი გამოხატულებაა, რადგანაც იგი ღრმა ფესვებით დაკავშირებულია შორეულ წარსულთან. პირველი ენა, რომლითაც მსოფლიო საუბრობდა ბაბილონის გოდოლის შენებისას, ცოდვების გამო დანაწევრდა. წარმოიქმნა ახალი ენები. ენებში კი ერები იგულისხმება. დაიწყო გაუცხოვება ადამიანებს შორის და მტრობა კაენისა და აბელის დროიდან დაწყებული. ერთი სიტყვიდან ასი და ასზე მეტი სიტყვა თუ გამოთქმა დამკვიდრდა. კავკასიური – ინდოევროპული – სემიტური ენები ბგერითი გადანაცვლებით თუ ენათესავება ძვ. პროტოაიურსა და მის სულიერად მონათესავე მეგრულ-ჭანურს, ის შორეული აზიის, ჩინეთის, იაპონიის, ინდოჩინეთის, აფრიკის და ამერიკელ აბორიგენთა ენასთან უფრო დაშორებულია. თითქმის მთელ მსოფლიოში, როგორც ძველად, ისე ახლაც, არის პროტო-აიური **აია ია** მისტერიებიდან გამოსული სახელწოდებები. ესენი უფრო ბერძნულ-სლავურ ენებს შემორჩა. ია-ზე ბოლოვდება ბიბლიური სახელები: სოფონია, მიქია, ისაია, ბოდოკია, ზაქარია... ღვთაება ბუდა საკიას ანუ შაკიას დინასტიიდან იყო. პირველი ენის დროს მართალია დემონური სამყარო სჭარბობდა, მაგრამ ბუნებასთან შერწყმით, ღვთიურ საწყისებთან უფრო ახლოს იყო: სულიერებით, მაგრამ მათგან გამოსული ღვთაებებიდან და გმირებიდან გამატერიალიზებული (წარმოჩენილი) სახით წარმოსდგა მსოფლიოს სხვადასხვა ცივილიზაცია. ჩვენი მოდგმა გველისებრ სიბრძნეს ფლობდა. წინარეკაცობრიობა ძირითადად გველთაყვანისმცემელი იყო. ქვეწარმავლებში ხვითო, ნატვრის თვალი გამოიჩეკება. ქვეწარმავალთაყვანისმცემლებში რისი თაყვანისცემაც იყო იმის მსგავსებაცაა, მეგრულად შვილი გამოითქმის სკირი ანუ სკუა, რაც გამოჩეკილს ნიშნავს. კაცობრიობის ძირითად ღირებულებებს უმთავრესად ჰქმნიდნენ ხვითოები, რომელთაგანაც ზოგი არწივის, ზოგი კი ლომისა და ხარის ბუნებას იძენდა. არწივი ფრინველთა მეფეა, ლომი კი ნადირთა. უფრო ქვეწარმავლური ბუნებისა იყო წინარეკაცობრიობა, რომელსაც ჰყავდა ხალხური ღვთაებები და გმირები. იყო ბუნებასთან შერწყმული და თავისი გამოჩეკილი ხვითოებით ხარობდა. ქრისტე ღმერთი გვასწავლის: იყავით გონიერნი, როგორც გველნი, და უმანკონი, როგორც მტრედნი. სადაც გული უმანკოება და სიყვარული კლებულობდა, იქ იღუპებოდა ჩვენი ცივილიზაციები. ეს მოხდა ბიბლიური ნოეს დროსაც. ბევრი ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ კი კავკასიის ქედს მივეჯაჭვეთ. აიელების სიმბოლური ღვთაება არმხუტა (იგივე ამირანი), რომელიც კოლხურად ნიშნავს ცეცხლოვან ღვთაებას, ის ხალხისათვის იყო თავდადებული. ღვთიურ იერარქიულობას ებრძოდა. ინდოევროპული მოდგმა, სადაც იერარქია, შედარებით, კარგად იყო დაცული, ფრინველური და ცხოველური ბუნებისა და პროტოაიელებისაგან გამოსული არწივები და ლომები, ფრინველთა და ნადირთა მეფეები ხდებოდნენ და არა ქვეწარმავლებისა. ჩვენი მოდგმის წინამძღოლობამ და ინდოევროპელთა თუ სხვა ხალხთა შემსრულებლობამ, გამოიწვია ამ უკანასკნელთა დაწინაურება, რომლის შემდეგაც წარმოიშვა საზოგადოებრივი დაპირისპირება მაღალსა და დაბალ ფენებს შორის. კოლხური ნათესავი, მხოლოდ ქრისტიანულ მართლმადიდებლური ცხოვრებით შეძლებს თავის ბუნების განმტკიცებას.

ღმერთს არც საწყისი აქვს და არც დასასრული. სამყაროც წრიული ფორმისაა. წრესაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ეგვიპტელები მარადისობას წამოსახავდნენ წრიულად დახვეული გველის სახით. გველს ბოლო პირში ჰქონდა ჩადებული. გველი სიბრძნის, სულიერების სიმბოლოა, რაც პროტოაიური მოდგმის ნიშანი იყო. გველს მეგრელები უსახელოს ეძახიან. ამ უსახელობაში პროტოკოლხურმა ნათესავმა ბუნებასთან შერწყმით წარმოშვა დიდი ცივილიზაციები. მაგალითად, შუმერები წერდნენ რომ მათთან ხან ნავებით, ხან ცხენებით მიდიოდნენ ღმერთები, ნახევარღმერთები და ასწავლიდნენ ბუნების საიდუმლოებებს. ასეთ მაგალითებს სხვადასხვა უძველეს ხალხთა მაღალგანვითარებულ კულტურათა შესახებ არსებულ ლიტერატურულ მასალებშიც შეიძლება წავაწყდეთ. უძველეს კოლხ ღვთაებათა ცივილიზატორულ მოღვაწეობაზე კარგადაა მინიშნებული მითებში მესეფთა შესახებ. შინაარში ასეთია: უძველესი დროის ერთ-ერთი მეფე უშვილობაზე წუხდა. ერთხელ ნადირობისას, როცა თავის მხლებლებს ჩამორჩა, ტყეში გამოეცხადა ადამიანის მსგავში არსება, რომელმაც მას გამოჰკითხა დამწუხრების მიზეზი. მეფემ უამბო დამწუხრების შესახებ. უცნაურმა არსებამ, მეფეს მისცა წითელი ვაშლი (ცივილიზაციის სიმბოლო) და უთხრა: აჭამე შენს ცოლს და როცა შვილი გეყოლება, მე მოვალ და სახელს დავარქმევო. მეფემ სახლში დაბრუნებისთანავე აჭამა ვაშლი თავის მეუღლეს. ვაშლის ერთ-ერთი ნაჭერი შეჭამეს მოახლემ და ძაღლმა. გავიდა დრო და სამივეს ეყოლა შვილი. მეფის მოხმობით მოვიდა ტყის მფლობელი, რომელმაც მეფის შვილს ნათლიობისას დაარქვა მესია, მოახლისას – კიკო, ძაღლის ლეკვს – კარაკაჩი. მეფის შვილს დაანათლა ტყეებისა და ნადირების უფროსობა, კიკოსა და კარაკაჩის კი უფლისწულისადმი ერთგულად მსახურება. შემდგომ მესიის შთამომავლები გამრავლდნენ და დაერქვათ მესიები. მესიები მეგრულად ასე გამოითქმის: მესიეფი, მესეფი (შემოკლებით). მესეფნი (იგივე მესიები) ცხოვრობდნენ ზღვებსა და ოკეანეების მიუვალ ადგილებში. ისინი ანაწილებდნენ ხალხთა შორის საძოვრებსა და ნანადირევს (მეგრული ზღაპრები და მითები 1994წ. გვ. 233). ეს მითიური გადმოცემა მითითებაა იმისა, თუ როგორ აძლევდა ცივილიზაციას ჩვენი ნათესავი სხვადასხვა ხალხს. საძოვრებსა და ნანადირევში იგულისხმება სხვადასხვა სულიერი, მისტერიული ცოდნა, ვარსკვლავთმრიცხველობა, ხუროთმოძღვრება, მედიცინა, დამწერლობის შემოღება, კარტოგრაფია და ა.შ. სტრაბონი, ჰეროდოტე, პლუტარქე წერდნენ, რომ მსოფლიო დამწერლობის სათავეებთან კოლხები იდგნენ. წინარეკაცობრიობის დამწერლობის ასონიშნები, რომლებიც მეფე აიეტის ხანაშიც იყო, აპოლონიოს როდოსელის **„არგონავტიკაშიც“** ჩანს: **„კოლხებს შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წერილსვეტები და კირბებზე ნაჩვენები გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა.“** (163გვ.). იმავე წიგნში კომენტარების სახით მოცემულია აპოლოდორე ათენელის ნაშრომი **„ღმერთთა შესახებ“** ფრაგმენტები. **„აპოლოდორე წერს, რომ კირბები შეიცავენ ნაწერ კანონებს“.** აპოლოდორე ამბობს რომ ყველა საზოგადო საბუთს და კანონს კირბიში ერქვა, რომ ქვებს აღმართავდნენ და ზედ წერდნენ გადაწყვეტილებებს... კიბიში წმინდა წარწერათა შემცველი ბოძია (**„არგონავტიკა“** გვ. 212).

ყოფილი ედემის ბაღის, კაცობრიობის წარმოშობის ადგილის შესახებ ბევრი რამ შეიძლება ითქვას. თითქმის მთელს მსოფლიოში გაბატონებული ინგლისელები ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიას **„დედამიწის გულს“** უწოდებდნენ. მათი თქმით, ვინც ამ ადგილებს ხელში ჩაიგდებს დედამიწის მპყრობელი იქნება. კოლხური მითების თანახმად ქალი მზესთანაა გაიგივებული. დედა წარმომშველის სიმბოლოა.

ძველ აიური მზის ასო-ნიშანი (0) სხვადასხვა ფორმაში ფიგურირებს ამ ტერიტორიაზე. ედემის ბაღი მნიშვნელოვანწილად დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე მდებარეობდა. შეიძლება ასე განვმარტოთ: სიტყვა ერაყის ეტიმოლოგია, ის ძველ აიურ სიტყვას უკავშირდება. მისი ძველი ფორმაა ირახ ან ერახ, რაც ყოვლის წარმომშველს ნიშნავს. ირ მეგრულში ყოველს ნიშნავს, ხოლო ხ აღნიშნავს შობას, წარმოშობას. სლავურ ენებში სამყარო, მსოფლიო, მშვიდობა აღინიშნება სიტყვა მირ-ით, რომელშიც ირ ძირი ფიგურირებს. რა ძველეგვიპტურად ნიშნავს მზეს. რადან, მზის სახელწოდებიდან, მომდინარეობს სიტყვები: რამზესი, რამაიანა, რაი, რატი... ირახი, ირანი, (იგივე აირანი) არიელებით დასახლებულ ადგილს ნიშნავს. ირანის სახელწოდების ფუძე ირა გვაქვს რ (0) მზის სიმბოლიკას გვაკავშირებს. მზე კი ღვთისგან შექმნილი ციური მნათობი, წარმოშობის სიმბოლიკაა. იგულისხმება კაცობრიობის გენეზისი, რაც ჩემი ნაშრომის მთავარი ღერძია. მთელ სამყაროში ყველაფერი ღვთის ნებითაა ან ღვთისგან დაშვებით. შემთხვევით არაფერი არ ხდება. როგორც ვიცით მზე ყველასათვის ანათებს. ასევე, ხშირ შემთხვევაში, ხალხები, რომელთა სახელწოდებებში მზის სიმბოლიკა სჩანს უბრალოები და ყველასათვის გულღია ხალხია.

ღვთისგან შექმნილი ციური მნათობის, მზის შვილებად იწოდებოდა ჩვენი ნათესავი. მაგალითისთვის მოვიყვან არგოს განმარტებას. ბასკურად არგეს ნიშნავს ნათელს, ბრწყინვალეს. სხვა ვერსიით არგო ნიშნავს სწრაფს, მარდს, თეთრს, ქათქათას (იხ. აკაკი გელოვანის მითოლოგიური ლექსიკონი თბ. 1983 გვ.65 ). შესაძლოა **„არგოს“** ბერძნული დაბოლოება ჰქონდეს. აიურად კი იყო არგუ, ძველი ფორმით არხუ. აქ არ (რა) მზეს, ზეციურ ცეცხლს ნიშნავს. ხუ – შობას. ე.ი. მზისგან ნაშობს, მზის შვილს. ძველი აიელები მზის შვილებად იწოდებოდნენ, ე.ი. მთავარი წარმომშველის შვილებად. მეგრელები თავიანთ თავს მარგალებს უწოდებენ: მ(არგა)ლის ძირია არგუ ანუ არხუ. მ თავსართი შესაძლოა დამკვიდრებულიყო ბოლო საუკუნეებში. მეგრელშიც ძირია ეგრ ანუ არგ. თანხმოვნების გადასმით რგ არის არგო-არგუ-არხუ. აფხაზები მეგრელებს აგრუებს უწოდებენ. სამეგრელო მეგრულად იქნება არგუა. ე.ი. მეგრელი ანუ არგუარი და არა გრამატიკულად დამახინჯებული ფორმა სამარგალო ან მარგალი. ისტორიასა და ხალხურ მეტყველებაში დამკვიდრებულია აიური მოდგმის ერთ-ერთი სახელწოდება ლაზი, რომელშიც ბგერათა გადანაცვლებით მივიღებთ რაშს. რა- შ, როგორც აღვნიშნეთ, მზისას ანუ მზის შვილს ნიშნავს. გავიხსენოთ სვანური სიმღერა რაშა-ორერა, რომელიც ციური მნათობის სადიდებელია. ლაზარეს ძველი ფორმა იქნება რაშარე. ესენი კი აიური ტერმინებია (მასში მნათობის სიმბოლიკა სჩანს): არესი-აირია-მარია-მარსი-არმაზი-არმაგედონი-არმხუტა-არმენია-არმია-არბანია-ურარტუ-არარატი და ა. შ. აფხაზურად ამ მთავარ მნათობს ამრა ქვია. დავუკვირდეთ ურარტუს სახელწოდებას, მზიური განფენილობა და სითბო გამოიხატება ურარტუს ღვთაება ალალუ-ში. აქედან მოდის გამოთქმა ალალი, საიდანაც აგრეთვე მოდის არარატი და ურარტუც. ტ, ტი და ტე ძველაიურად მეტყველებაში აღნიშნავდა ძეს.

**მალხაზ გრიგოლია**

*(გაგრძელება იქნება)*

---

გაზეთი “ილორი”, ალექსანდრე შენგელია და გაზეთისა და გამომცემლობა „სარკმელი საქართველოსი“ შემოქმედებითი მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამ გაზეთის რედაქტორთა საბჭოს წევრი, ქართველ მეღვინეთა სახელოვანი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი, შპს „ვაზი-2008“-ის დამფუძნებელი, ღვინის რამდენიმე ცნობილი მარკის ოფიციალური ავტორი

**ჯემალ გიორგის ძე ახვლედიანი**

და თანაურძნობენ განსვენებულის ოჯახს, უახლოეს ნათესავებს, მეგობრებსა და მის იმ მრავალრიცხოვან კოლეგებს, რომლებთან ერთად 60 წელიწადი იღვაწა, რათა „სისხლსა ყურძნისასა ვსუმდეთ ღვინოსა“.

ქართველი მწერლები ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზეთ „ილორის“ რედაქციას

გაზეთი „ილორი“ პირადად ჩემი და ქართველ მკითხველთა საყვარელი გაზეთია, თავისი მრავალფეროვნების, სიმართლის, პირდაპირობისა და მიუკერძოებლობისათვის. მისასალმებელია, რომ მასში ხშირად შუქდება სამეცნიერო, მათ შორის, საენათმეცნიერო საკითხები, ასევე, – საკითხები მავანთაგან მივიწყებული კოლხეთის ისტორიისა და კოლხური კულტურის შესახებ. ძალზე საინტერესოა მამა და შვილი თანაავტორების მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიას საენათმეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ეხება ენის წარმოშობის საკითხებს და საერთოდ ენის ფენომენს, ასევე, – ამ ნაშრომების რეცენზია-შეფასებები, რომელთაც თითქმის სისტემატიურად აქვეყნებს გაზეთი „ილორი“. ფრიად შთამბეჭდავია. აღნიშნული ავტორების მიერ ამასწინათ გამოცემული წიგნის **„ძალიან მოკლედ ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებში წარმოჩენილი სიახლეების შესახებ“ „უძირითადესი დასკვნები და მონაცემები“,** რაც გამოქვყნდა გაზეთ **„ილორის“** მიმდინარე წლის № 335-ში“. 44-მუხლიანი ამ დასკვნების თითოეული მუხლი უნიკალური (ერთადერთი და განუმეორებელი) მოვლენაა ენათმეცნიერების ისტორიაში.

მამანტი და ცირა ძაძამიების საენათმეცნიერო ნაშრომებზე ბევრი რამ დაიწერა და იწერება ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა დასახელებაც შორს წაგვიყვანდა. მათს შვიდტომეულს **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“,** თავის დროზე, მთელი ნომერი მიუძღვნა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გაზეთმა **„დიოსკურიამ“** (რედაქტორი პოეტი-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი). საეტაპო მნიშვნელობისა იყო ამ შვიდტომეულის პრეზენტაცია, რომელიც 2008 წლის 29 მაისს ქალაქ თბილისში ერთობლივად მოაწყო ოთხმა მეცნიერებათა აკადემიამ, 300-მდე მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორისა და აკადემიკოსის მონაწილეობით, რომელთაგან სიტყვით გამოვიდა 32 კაცი. რჩეულ სწავლულთა მთელი დარბაზი აღტაცებითა და ოვაციებით იწონებდა მოხსენებებში, სიტყვებსა და სპეციალისტების ოფიციალურ რეცენზიებში გამოხატულ ამგვარ შეფასებებს: **„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „გენიალური ნაშრომი“, „უნიკალური ნაშრომი“, „გადატრიალება ენათმეცნიერებაში“, „ზეტიტანური ნაშრომი“, „უდიდესი ქართული მოვლენა“, უებრო ნაშრომი“, „ფანტასტიკურიც და საკვირველიც“...**

**„ეს რა საღამო გვაჩუქეს ამ ადამიანებმა“,** – სიხარულით მიმართავდნენ ერთმანეთს, ამ ღონისძიების მომდევნო დღეებშიც, მისი მონაწილეები.

აღსანიშნავია ცალკეული რეცენზენტების მიერ გამოხატული შემდეგი შეფასებებიც: **„ამას, რეცენზია მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს, ვინაიდან ამ უებრო შვიდტომეულის შესწავლა და რეცენზირება ადვილი როდია. იგი, ერთდროულად, შეუძლებელიცაა. მას დიდი დრო სჭირდება. იმედია, პროფესიონალ სწავლულთაგან აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც ამას შესძლებენ“** (ნაპოლეონ ლემონჯავა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი), ანალოგიური შეფასებები გამოხატეს თავიანთ რეცენზიებში მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა და აკადემიკოსებმა: ჯ. ჯინჯიხაძემ. ტ. მოსიამ, ო. მიქიაშვილმა, გ. ჭელიძემ, ც. მესხიამ, ჯ. ლომაშვილმა, ი, ახუაშვილმა და სხვებმა. აკად. კ. ფიფიამ კი ასეთი რამ თქვა: **„ამ შვიდტომეულის შესწავლას, შეიძლება, 21-ე საუკუნე არც კი ეყოს“.**

**„ამ წიგნს მესამედ ვკითხულობ, და ისეთივე ინტერესით, როგორც იგი პირველად წავიკითხე“; „ამ წიგნის განსაკუთრებული ღირსება ისიც არის, რომ რამდენჯერაც უნდა წაიკითხო იგი, ყოველთვის ახალ-ახალსა და საინტერესოს აღმოაჩენ მასში“...** – ამგვარი შეფასებებიც ხშირია მ. ძაძამიასა და ც. ძაძამიას ნაშრომებთან დაკავშირებით. მეტიც კიდევ: თავად ავტორებიც კი, მუდამ ახალსა და ახალს ავლენენ ხოლმე მათში და ახალ-ახალი საკითხებითა და მონაცემებითაც ამდიდრებენ თავიანთ საენათმეცნიერო მემკვიდრეობას.

დიახ, **„მამანტი და ცირა ძაძამიების ენათმეცნიერულ მემკვიდრეობას“** ეძახიან მათ ნაშრომებს ჭეშმარიტი ენათმეცნიერები და სხვანი (ეს შეფასება პირველად ც. მესხიამ გაახმიანა) და განცვიფრებასაც გამოხატავენ მათზე.

მიუხედავად უდიდესი დაინტერესებისა, მამანტი და ცირა ძაძამიების, ასევე მათი თანაავტორების (ერთობლივად) უმდიდრეს და უმნიშვნელოვანეს საენათმეცნიერო არსენალს თუ მემკვიდრეობას ჯერ-ჯერობით ყველანი სრულად ან სულაც როდი იცნობენ, ამ ნაშრომების მცირე ტირაჟებით გამოცემის, მათი აბსოლუტურად უდიდესი ნაწილის ჯერაც გამოუცემლობის და სხვა მიზეზებით. ამიტომაც, იმის გათვალისწინებითაც, რომ, ჩვეულებრივად, თაობათა ცვლას აქვს ადგილი და ამ ნაშრომებზე აქამდე ყველას როდი მიუწვდებოდა ხელი ან მიუწვდება მომავალშიც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გაზეთმა **„ილორმა“** კვლავაც ინტენსიურად გააშუქოს მასალები აღნიშნული ავტორების ნაშრომების შესახებ, რუბრიკით: **„მამანტი და ცირა ძაძამიების ენათმეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ”.** ურიგო არ იქნება, რომ დროდადრო განმეორებითაც გამოქვეყნდეს ცალკეული ნაშრომები, საკითხები, წერილები თუ კორესპოდენციები, ან კიდევ, მთლიანობაში გამოქვეყნდეს ნაშრომი **„ძალიან მოკლედ ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებში წარმოჩენილი სიახლეების შესახებ“,** რომლის უძირითადესი დასკვნები, როგორც კმაყოფილებით აღვნიშნეთ, უკვე გამოქვეყნდა თქვენს გაზეთში. იქნებ, ავტორებსაც ვთხოვოთ, დამატებითი ინფორმაციები მიაწოდონ მკითხველ საზოგადოებას, ცალკეული საკითხების, და, განსაკუთრებით, ჯერაც გამოუქვეყნებელი ნაშრომების შესახებ; მაგალითად, იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატება მეგრული ენის (კერძოდ, მისი ზმნური ფონდის) კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეულის (როგორც თვითონ წერენ, – **„სავარაუდოდ, 25.000-ტომეულის“**) ექსტერნული წესით შედგენის მათმიერი ხერხი. ამასთან, მართალია, უკვე არავის ეპარება ეჭვი მათს ნაშრომებში ასახული, ერთი შეხედვით, ფანტასტიკური მონაცემების რეალობაში (მათ შესახებ ძალადმდუმარე ერთეული სპეციალისტების მდუმარების მიზეზი, არა მათდამი ეჭვი, არამედ მეგრული ენის მიმართ ტენდენციური არაჯანსაღი დამოკიდებულება რომ არის, ესეც ყველასათვის ნათელია), მაგრამ, ვფიქრობთ, ჯერაც ყველას როდი აქვს სრულად დანახული, თუ რაში გამოიხატება მეგრული ენის ლექსიკის ფანტასტიკური სიმდიდრის საფუძველი, ან, როგორ შეძლეს ავტორებმა ამ ენის 1 მილიარდ 410 მილიონზე მეტი სიტყვის 25.000-ტომეულში დაფიქსირება, და, მეტიც, – მთელი ამ კოლოსალური ლექსიკის სიტყვათწარმომავლობის (ეტიმოლოგიის) დადგენა. ასე, რომ, მამანტი და ცირა ძაძამიების ენათმეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა დამთავრებული როდია, იგი მხოლოდ დაწყებულია და მას ინტენსიური გაგრძელება უნდა მიეცეს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზემოთ ჩვენს მიერ წამოყენებული წინადადება თქვენის მხრივ თუ მიღებული იქნება, ბატონო რედაქტორო, დიდად მადლობელი დაგრჩებით. უამისოდაც, ანუ წინასწარ, აღნიშნულთან დაკავშირებით, გიგზავნით ჩვენს შემდეგ წერილს:

## მეგრელოფობია, შურიანობა, ძილქუში თუ სამივე ერთად?!

ვინ არ იცის, რა დღეშიც ჩააგდო მეცნიერების დარგი (სხვა დარგებთან ერთად) საქართველოს ყოფილი პრეზიდენტების ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის მოღალატურმა პოლიტიკამ და რა უმწეო მდგომარეობაშიც აღმოჩნდნენ სამეცნიერო დაწესებულებებიცა და მეცნიერების დარგში მომუშავე ადამიანებიც იმ ავადსახსენებელ პერიოდში, მაგრამ ეს ფაქტიც არ იძლევა, იმის საშუალებას, რომ ყველაფერი აღნიშნულ ვითარებას დაბრალდეს და არავის არაფერი მოეკითხოს მეცნიერების დარგში, ამ შემთხვევაში, კერძოდ, ენათმეცნიერების დარგში გამეფებული სიტუაციისათვის.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე საერო მეცნიერებათა აკადემია და ენათმეცნიერების ინსტიტუტი ფრიად საპატივცემულო და საპატიო დაწესებულებებს წარმოადგენენ, და, რომ მათ საქმიანობაზე მსჯელობისას გარკვეული სიფრთხილეც გვმართებს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ უთქმელობაც არ ვარგა იმისა, რაც საზიანოა ქვეყნისათვის და თვით ამ საჯარო დაწესებულებებისათვის. ეს წერილიც, მოცემული დასათაურებით, სწორედ მათ ეხება.

უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში რამდენიმე ადამიანი შეიცვალა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობაზე, მაგრამ ისინი (და არა მარტო), ჩვეულებრივ, ამ სამინისტროს **„განათლების სამინისტროდ“,** ხოლო საკუთარ თავს, **„განათლების მინისტრად“** მოიხსენიებდნენ. სამწუხაროდ, ეს დღემდეც ასე გრძელდება. აქ კომენტარები ზედმეტია.

მეხივით დამეცა თავზე, როცა ამ ორიოდე წლის წინ ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე სტატია სათაურით **„ცოცხალთა პანთეონი“,** რაც საქართველოს საერო აკადემიაში არსებულ მდგომარეობას აღწერდა. მას შემდეგ, აქაც და ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც, როგორც ვიცით, ხელმძღვანელობა შეიცვალა, მაგრამ მოჰყვა თუ არა მას რაიმე შედეგი, უცნობია. ან რა შეიძლება შეცვლილიყო, როცა ქვეყნის მასშტაბით მიდგომა ამ დაწესებულებების მიმართ თითქმის არ შეცვლილა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ თვით ცნება „მეცნიერება“ ჩვენში, ლამისაა, წითელ წიგნში შესატანი გახდეს.

მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, ნიჭიერ, შემოქმედ და მიზანსწრაფულ ადამიანებს საქართველოში რა გამოლევს, და, სრულად გაქრობას გადაურჩა ქართული მეცნიერებაც. მის ცალკეულ დარგებში კი ხელშესახები წინსვლაც მოხდა, ცხადია, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ენთუზიასტი ადამიანების ძალისხმევით.

ასეთებს განეკუთვნებიან მამა და შვილი თანაავტორები მამანტი ძაძამია და ცირა ძაძამიები, რომლებმაც, პრაქტიკულად, სასწაული მოახდინეს ენათმეცნიერებაში. მათ, ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემული ნაშრომით **„ენის წარმოშობის საიდუმლოება“,** პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში, წარმოაჩინეს ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები. ეს მაშინ, როდესაც ენის წარმოშობის საკითხი მსოფლიო ენათმეცნიერების მიერ საერთოდ შეუძლებლად იყო გამოცხადებული და ასეთი შეხედულება აქ გაბატონებული იყო თითქმის მთელი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე.

**3600-მდე** საენათმეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს აღნიშნულმა ავტორებმა ენის წარმოშობის საკითხის და საერთოდ ენის ფენომენის შესწავლას. ისინი, ერთობლიობაში, წარმოდგენილია **16** დიდი მონოგრაფიის სახით, რომელთა შორის არის: 11 ერთტომეული, 2 ორტომეული 1 სამტომეული, 1 შვიდტომეული 1 ოცტომეული და 1 მრავალათასტომეული (სავარაუდოდ, 25.000-ტომეული) ეს უკანასკნელი წარმოადგენს მეგრული ენის, კერძოდ, ზმნური ფონდის კომპიუტერულ ლექსიკონს, რომლის შედგენასაც ავტორები აწარმოებენ მათ მიერვე შემუშავებული ექსტერნული ხერხით და რომლის პირველი 1.000 ტომი მათ უკვე შეტანილი აქვთ კომპიუტერში.

**ეს ხომ სასწაულია და ძნელი წარმოსადგენიც?!**

**“25.000 ტომი, საშუალოდ 600-600-გვერდიანი წიგნის მოცულობით“,** – რა იოლი სათქმელია, მაგრამ მკითხველს ალბათ არ გაუჭირდება იმის წარმოდგენა, თუ რა კოლოსალურ შრომასთან და განსაკუთრებულ ცოდნასთან არის დაკავშირებული ასეთი გრანდიოზული სამუშაოს შესრულება, თანაც მეცნიერების ისეთ დარგში, როგორიცაა ენათმეცნიერება.

ამას წინათ გამოიცა მამანტი და ცირა ძაძამიების ერთი პატარა (108-გვერდიანი) წიგნი სახელწოდებით **„ძალიან მოკლედ ჩვენს საენათნეცნიერო ნაშრომებში წარმოჩენილი სიახლეების შესახებ“.** ეს ნაშრომი, როგორც ვიცი, მთლიანად ქვეყნდება პოპულარულ ჟურნალ **„აია“**-ში. ნაშრომის **„უძირითადესი დასკვნები და მონაცემები“** ცალკე გამოქვეყნდა ასევე საყოველთაოდ ცნობილ და პოპულარულ გაზეთ **„ილორში“** (№ 335, 13-20 ოქტომბერი, 2015 წ.) მას აქ, ცხადია, არ (ვერც) გავიმეორებთ, მაგრამ მოვიტანთ მასში წარმოდგენილ ზოგიერთ მონაცემს, ამ წერილის ადრესატების საყურადღებოდ. აი, ისინიც:

**საპირისპიროდ** ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებებისა, რომელთა მიხედვითაც: 1. „ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული, შემთხვევითია და ნებისმიერი“; 2. „მართალია, ენაში გვაქვს ხმაბაძვითი სიტყვებიც, მაგრამ ისინი ლექსიკის მცირე და უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს და ენის წარმოშობის ხმაბაძვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორიის დასამტკიცებლად არ გამოდგება“; 3. „თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალიც კი არ არის დარჩენილი და ამიტომაც შეუძლებელია მისი აღდგენა. შეუძლებელია ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლა. ეს საკითხი სამუდამოდ დაკარგულია ენათმეცნიერებისავის“; 4. სიტყვის აფიქსები მიღებულია რომელიღაც სხვა სიტყვებისაგან“, და ა. შ., დაადგინეს შემდეგი: 1. თანამედროვე ენის, კერძოდ, მეგრული ენის ლექსიკის 99,2 პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა და მოტივირებულია (იდეამტარებელია) ფონეტიკური დასაბამიდანვე; 2. მეგრულ ენაში ცოცხლად არის დაუნჯებული ენის მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობისა და განვითარების მთელი ისტორია; 3. საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ანუ საგნის მიერ გაღებული ბგერებისადმი ხმაბაძვითობა, ზოგადად, – საგნის ბუნებითობა; 4. პირველყოფილი მეტყველება – ეს იყო მეტყველება ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებით (სიტყვებით), მათთანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური (სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) მარცვალწარმომქნელი და დეტერმინანტი (იდეაგანმსაზღვრელი) ნახევრადხმოვანი ) ბგერითურთ; 5. პირველყოფილი მეტყველება – ეს იყო მეტყველება ერთ ენაზე – ბუნების ენაზე; 6. პირველყოფილი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თანხმოვნური ფორმების აფიქსაცია-გრამატიზაცია მეორეული მოვლენაა ენაში; 7. სიტყვის აფიქსები, საერთოდ ენის საგრამატიკო საშუალებები და მეტყველების ცალკეული ნაწილებიც კი, როგორიცაა ნაცვალსახელები, ზმნიზედები, თანდებულები, ნაწილაკები, შორისდებულები (ამათი უდიდესი ნაწილი მაინც) მიღებულია ემფატიკური ნახევრადხმოვანი ) ბგერისაგან, წარმოადგენენ მის ფონეტიკურ ვარიანტებს ანუ ნაირსახეობებს; 8. თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველქმნილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური, მარცვალწარმომქნელი და დეტერმინანტი ნახევრადხმოვანი ) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას; 9. ენა – ეს არის საგანთა ბუნების საფუძველზე ადამიანის პირით ამეტყველებული უნივერსალური სამყარო; 10. ენაშია დაუნჯებული მთელი ადამიანური ცოდნა საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ; 11. ენის ლექსიკის სიმდიდრე მაჩვენებელია მისი განვითარებისა და მოცემული ენის მატარებელი ხალხის მიერ საგანთა უნივერსალური სამყაროს შესწავლის დონისა; 12. მეგრული ენის ლექსიკა მოიცავს 1 მილიარდ 410 მილიონ 145 ათას 286 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, რაც დაფიქსირებულია ოცტომეულის – „მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“ II–XIX ტომებში, ორ ნაწილად: 1) ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები), რაც მეგრულის მთელი ლექსიკის 99,99 პროცენტს შეადგენს, მოცემულია II–XVIII ტომებში, „მეგრული ენის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის “ სახით და მის ყოველ ერთ გვერდზე (10.200-მდე გვერდიდან), საშუალოდ, იკითხება 150.000-მდე სიტყვა; 2) სხვა მეტყველების ნაწილები მოცემულია XIX ტომში „მეგრული ენის სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკონის“ სახით, რაც ითვლის 26.000-მდე სიტყვას (0,001 %). მეგრული ენის მთელი ლექსიკიდან, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია ან შეიძლება ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა, რითაც მას ახლოსაც ვერ მიუვა მსოფლიოს ვერც ერთი ენა; 13. მეგრული ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი სხვა ენაზე პირდაპირ უთარგმნელია, მათი თარგმნა შესაძლებელია აღწერილობითი გზით. 14. მეგრული ენის ლექსიკა კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით საგანთა სამყაროს აღწერს ისევე, როგორც ის სინამდვილეში არის წარმოდგენილი; 15. მეგრული ენის ლექსიკა, კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს არა მხოლოდ ბგერით ანუ ბგერწერით უკუფენას, არამედ ფერწერით უკუფენასაც; 16. მეგრული ენის ლექსიკა, კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს და ნომერ პირველ საოცრებას დედამიწაზე; 17. მეგრული ენა რომ გადაშენებულიყო, კაცობრიობა სამუდამოდ დაკარგავდა ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლის შესაძლებლობას და საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ ადამიანური ცოდნის უმდიდრეს არსენალს.

**ალეკო თოდუა,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ვიცე-პრეზიდენტი, „ფაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# აშშ-ის პრორუსული პროპაგანდა საქართველოში

თავიდანვე ვიტყვი, რომ წინამდებარე წერილის მთავარი მუზა ბატონი ემზარ კვიციანია, რომელმაც მედიაკავშირ **"ობიექტივისთვის"** მიცემულ ინტერვიუში, რომ იტყვიან, **"მაგრად მოარტყა"**, როცა (ციტატის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ) განაცხადა, რომ:

**"პატრიოტთა ალიანსის" რამდენიმე ათეული წევრი და მათი მხარდამჭერი ადამიანები 8 ნოემბრის შემდეგ, უკვე მერამდენე დღეა, კანცელარიის წინ პროტესტის ნიშნად ვშიმშილობთ და საქართველოში აკრედიტებული დიპ-კორპუსიდან არავინ მოსულა, არავის უკითხავს, რატომ და რისთვის ვაგდივართ ამ წვიმასა თუ ქარყინვაში ან, უბრალოდ, დაინტერესებულიყვნენ მაინც მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობით?! აბა, ერთი ლგბტ-პედერასტები შიმშილობდნენ საკუთარი უკანალების უფლებების დასაცავად, აშშ-ის ელჩის თამადობით ევროკავშირის ელჩები არა მხოლოდ მივიდოდნენ, არამედ მთელი "დემოკრატიული დასავლეთი" ერთ ვაი-უშველებელს ატეხდა, არიქა, საქართველოში "ქათმების კრიახის" უფლებები ირღვევა"...**

ჩემი მხრიდან დავძენ, რომ ევროსაბჭოს დელეგაცია მოსანახულებლად ეწვია **"ლოგინად ჩავარდნილ"** ავადმყოფ ჩიორა თაქთაქიშვილს, რომელსაც ცხვირი ჰქონდა გატეხილი...

ყველამ იცის, რომ **"ქართულმა ოცნებამ"** საგარეჯოს არჩევნები სააკაშვილის რეჟიმის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით გააყალბა რესპუბლიკელი ბუდარიხას სასარგებლოდ და გამარჯვებული ირმა ინაშვილი დამარცხებულად გამოაცხადა.

ამიტომაც უწოდა **"დამარცხებულმა"** ირმა ინაშვილმა დღევანდელ ხელისუფლებას **"მიშა-2"** და კანცელარიის წინ უვადო შიმშილობა დაიწყო, თუმცა, **"პატრიოტთა ალიანსი"** ამაზე შორს ჯერჯერობით ვერ თუ არ წავიდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

მანამდე კი, წერილის სათაურიდან გამომდინარე, ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამ – იმ ფონზე, როდესაც **"რუსთავი 2"**-ის საკითხზე ევროპარლამენტი თუ ევროკავშირი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მაგარ რეზოლუციას **"გამოაცხობდა"** საქართველოში **"თავისუფალი მედიის"** დასაცავად, რაც ქართველმა საზოგადოებამ ეროვნულ შეურაცხყოფად (განსაკუთრებით – აშშ-ის ელჩის უგვანო განცხადება) აღიქვა, საქართველოში აკრედიტებული დასავლეთის ქვეყნების დიპკორპუსის, პირველ რიგში, აშშ-ის საელჩოს მიერ ზემოხსენებული პროტესტის უკიდურესი ფორმის სრული იგნორირება (მოშიმშილეთა მონახულებას ვინღა დაეძებს) არის თუ არა საქართველოში პრორუსული განწყობების მატების კიდევ ერთი მოტივაცია?

დიახ, კიდევ ერთი და ახლა მცირე ისტორიული ექსკურსი საქართველოს უახლეს ისტორიაში, რათა გავიხსენოთ ამ **"კიდევ ერთს"** რამდენი მსგავსი რამ უძღოდა წინ...

** გასული საუკუნის 90-ანების დასაწყისში ამერიკის პრეზიდენტმა მამა-ბუშმა ზვიად გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ ცურვა დაუწუნა?!*

*თუმცა ამერიკის პრეზიდენტის წუნიაობამ ბევრი ვერაფერი დააკლო საქართველოში პროამერიკულ განწყობებს, რადგან იმ შავბნელ პერიოდში ქართველი საზოგადოების აზრი გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ ორ ნაწილად იყო გაყოფილი – ეს ერთი, და მეორეც – ჯერ კიდევ სსრკ-ის შემადგენლობაში მყოფი საქართველო, საბჭოეთის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით (მათ შორის ბალტიის ქვეყნებთანაც), ყველაზე უფრო პროამერიკულად განწყობილი რესპუბლიკა იყო!*

*ეს განწყობები ინერციით არც შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში შესუსტებულა, პერიოდში, რომელსაც თამამად შეიძლება, ბრეჟნევის მმართველობის მსგავსი უძრაობის ("ზასტოის") პერიოდი ვუწოდოთ...*

** რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, საქართველოში პროამერიკულ, გნებავთ, პროდასავლურ განწყობებს პირველად აშშ-ის პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის შემდეგ შეუდგა წყალი...*

*პრემიერი ჟვანია ახალი მოკლული იყო, მაგრამ შვილმა ბუშმა სააკაშვილის რეჟიმს "დემოკრატიის შუქურა" უწოდა(?!).*

*ჰოდა, მაშინ აიშვა დემოკრატიის შუქურის ვარსკვლავიჭუნა მიშიკომ – დაიწყო "ველური ქართველების" მორჯულების პროცესი მასობრივი დაპატიმრებების მეშვეობით... ბუტა რობაქიძისა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, ე.წ. ციხის ბუნტის სისხლიანი ჩახშობა და ა.შ. რომელი ერთი გავიხსენოთ იმ დანაშაულებიდან, რომლებმაც ლოგიკურად მიიყვანა სააკაშვილის რეჟიმი 2007 წლის 7 ნოემბრამდე.*

** ტელეკომპანია "იმედის" დარბევისას აშშ-ის ადმინისტრაციის ისეთი მძაფრი რეაქცია არ გვინახავს, როგორიც ახლა ჰქონდათ "რუსთავი 2"-ს სიცრუის პროპაგანდის მანქანის მიმართ...*

** ბადრი პატარკაციშვილის ბურუსით მოცული გარდაცვალება (წაიკითხე – მკვლელობა) და ამ ყველაფერზე აშშ-ის დუმილით ავადმყოფი სააკაშვილის კიდევ უფრო წახალისება!*

*ჰოდა, მიშამაც წაიხალისა და 2008 წელს ომი გააჩაღა; ამავე პერიოდიდან იწყება ციხეებში პატიმართა თუ ციხეებს გარეთ მოქალაქეთა წამება-გაუპატიურების მასობრივი კამპანია; ასობით ახალგაზრდის ქუჩებში დახვრეტა;*

** 26 მაისის სისხლიანი ღამე, რომელიც ამერიკის იმჟამინდელი ელჩის, ჯონ ბასის, სინდისზეა.*

** დასასრულ, ბიძინა ივანიშვილის "მოულოდნელი" გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში – დიახ, მოულოდნელი ბრჭყალებში, რადგან დღეს საქართველოში თითქმის აღარავის სჯერა, რომ ბიძინამ ავი სიზმარი ნახა და გამოღვიძებული მიხვდა, არიქა, სამშობლო მეღუპებაო?!*

სიზმრით იყო განპირობებული თუ სხვა რამით, სამების აღმშენებელი ქართულ პოლიტიკაში მოვიდა და 2012 წლის 1 ოქტომბერი მოგვიტანა, რომელსაც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ქართველი ხალხისთვის საძულველი ნაცბანდის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობა და ქართველთა სისხლში ამოსვრილი ბობოლა ნაცების საკადრისად დასჯა, ანუ სამართლიანობის აღდგენა, რაც უპირველესი დაპირება იყო **"ქართული ოცნებისა"**...

ამის ნაცვლად რა მივიღეთ? – ჯერ 40% დაუწერეს ამერიკელებმა ქართველთა მწამებელ ნაცებს, შემდეგ კი კოჰაბიტაცია მოგვახვიეს თავს და ნაცბანდა მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოგვიცხადეს.

სწორედ აქედან დაიწყო საქართველოში პროამერიკული განწყობების კლების შეუქცევადი პროცესი რუსეთის სასარგებლოდ და დღეს ამ პროცესმა ამერიკისთვის ისეთ საგანგაშო ნიშნულს მიაღწია, რომ თვით ამერიკული ენ-დი-აიც კი იძულებული შეიქნა, საქართველოში ევრაზიული კავშირის მომხრეებად გამოკითხულთა 31% ეღიარებინა.

ამის გამო საქართველოში აშშ-ის მიერ დაფინანსებულმა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა (ასოებმა) ისტერიკა დაიმართეს – ეს ყველაფერი რუსული პროპაგანდის შედეგიაო და აშშ-მა თავის **"ასოებს"** 10 მილიონი დოლარი გამოუყო კონტრპროპაგანდისთვის (?).

აშშ და, საზოგადოდ, აგრესიული ნეოლიბერალიზმი, რომელიც მართავს დასავლეთს და მათ სატელიტ ქვეყნებს, რომელთა შორისაც, სამწუხაროდ, საქართველოც განიხილება, არაფრის დიდებით არ დაუშვებს საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მოსვლას!

ამას დაუმატეთ ისიც, რომ აშშ იქცა ლგბტ-ქათმების ლიდერად და ამ **"სიკეთის"** დამკვიდრებას სრულიად მსოფლიოში, პირველ რიგში, სატელიტ ქვეყნებში აპირებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში პრორუსული განწყობის მატება აშშ-ის ქმედება-უმოქმედობის შედეგია და არა მითოსური რუსული პროპაგანდისა, რომელიც, სამწუხაროდ, ბუნებაში არ არსებობს.

დიახ, სამწუხაროდ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ, რუსეთი ქართულ პოლიტიკაში ფულს რომ დებდეს, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ლავირების, ბალანსირების საშუალება ექნებოდა და აღარ შეეშინდებოდა ნეოლიბერალების (ნაცების, რესპების, ალასანიას პარტიის და ა.შ.) მიერ პრორუსული იარლიყების მიწებებისა, რადგანაც საქართველოს პოლიტიკაში რუსეთის ღიად ჩართვის შემთხვევაში პროამერიკელობა აღარ ჩაითვლებოდა (თუ ამერიკელები თეთრი სახლის **"ობკომის"** – აშშ-ის საელჩოს მეშვეობით მართავენ საქართველოს, რუსეთს რატომ არ აქვს მართვის თუ არა ჩართვის უფლება მაინც, თანაც ერთმორწმუნე საქართველოს პოლიტიკაში?) აპრიორი პატრიოტობად და პირიქით – პრორუსულობა აპრიორი მოღალატეობად.

ზემოთ თქმული პარტიის ლიდერებმაც იციან, მაგრამ პრორუსული იარლიყის მიწებების შიშით ჯერჯერობით ყველაფერს თავის სახელს ვერ არქმევენ. მაგალითად, იმას, რომ ყველაფერი, რაც საქართველოში ნეგატიური ხდებოდა და ხდება, დასავლეთის ორმაგი სტანდარტების, მათი უნამუსო პოლიტიკის შედეგია!

სწორედ იარლიყების მიწებების შიშის გამო აქვთ სწორება მხოლოდ დასავლეთზე (ყოველ შემთხვევაში დეკლარირებული), რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ თავიანთ ქმედებებს ახლა მიმდინარე საპროტესტო შიმშილობაზე დასავლეთის აზრის გათვალისწინებით წარმართავენ, ანუ, მხოლოდ ბრიუსელსა და ვაშინგტონში ეძებენ პოლიტიკურ მოკავშირეებს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, სადავოა, რადგან ამა წლის 30 სექტემბრიდან, როდესაც რუსეთმა **"ისლამური სახელმწიფოს"** პოზიციების დაბომბვა ისე დაიწყო, რომ ამერიკისგან ნებართვა არ აუღია, მსოფლიო აღარ არის ერთპოლუსიანი, უფრო მეტიც – გეოპოლიტიკური თამაშის ახალ წესებს მსოფლიოს უკვე რუსეთი კარნახობს საკუთარი სამხედრო ძლიერების ხაზგასმული დემონსტრირებით.

ამ მედალს მეორე მხარეც აქვს – რუსეთს დღეს საქართველოსთვის სწორედ სირიის გამო არ სცალია, თუმცა, რომც ეცალოს, იქნებ მაშინაც არ დაინტერესდეს ჩვენით, რადგან სააკაშვილის წყალობით რუსეთმა საქართველოსგან, რაც სჭირდებოდა, ყველაფერი მიიღო.

აქედან გამომდინარე, იქნებ გამართლებულიც იყოს **"პატრიოტთა ალიანსის"** ლიდერის სიფრთხილე დასავლეთის მიმართ, ანუ რის უფლებასაც საკუთარ თავს ვაძლევ პუბლიცისტი დავით მხეიძე, იმავე უფლებას ვერ მისცემს საკუთარ თავს პოლიტიკოსი დავით თარხან-მოურავი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პოლიტიკაში ყველაფერს თავისი დრო აქვს და ის დრო იქნებ ჯერ მართლაც არ დამდგარა?!

მაგრამ ის დრო ნამდვილად დადგა, რომ ხმამაღლა ვთქვათ:

**** ივანიშვილმა ცალი ხელით თუ სამება აგვიშენა, მეორეთი საყდრისი აგვიფეთქა;***

**** თუ საგარეჯოს არჩევნები გაყალბდა, მთავარი გამყალბებელი სოლოლაკის შუშის სასახლეში ზის;***

**** ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის მთავარი ამოცანა ქართველთა საძულველი რესპუბლიკელებისთვის ხელისუფლების ჩაბარება იყო;***

**** იმჟამინდელი წინააღმდეგობის მოძრაობის, დღეს "პატრიოტთა ალიანსის" მიერ მოპოვებული ციხის კადრების გარეშე "ქართული ოცნება" უმრავლესობით ვერ მოვიდოდა ხელისუფლებაში.***

საგარეჯოს არჩევნებსაც ორი მხარე აქვს და, აქედან გამომდინარე, დავსვამ კითხვას – რა სჯობდა, მომხდარიყო სასწაული და ირმა ინაშვილი ეცნოთ გამარჯვებულად, თუ ის, რაც მოხდა, ანუ დამარცხება, რომელიც გამარჯვების ტოლფასია?

პირველ შემთხვევაში აუცილებლად დაიწყებდნენ სისინს, **"პატრიოტთა ალიანსი" "ქართულ ოცნებასთან"** ფარულად არის შეკრულიო.

მეორეში, ანუ, რაც რეალურად მოხდა, აღინიშნა უპრეცედენტო რამ: თუ ადრე ხელისუფლების კანდიდატი გამაფარჩაკებელი სხვაობით უგებდა ოპოზიციის კანდიდატს, საგარეჯოში ისე აშკარა იყო ირმა ინაშვილის უპირატესობა რესპუბლიკელ ბუდარიხასთან შედარებით, რომ სახელისუფლებო მანქანამ, რომელიც ირმას წინააღმდეგ მოქმედებდა, მხოლოდ 3%-იანი სხვაობით მოაგებინა რესპუბლიკელების კანდიდატს?!

ეს კი იმას ნიშნავს, რომ იდეოლოგიურ ჭიდილში, ოღონდ არა ნატოს მომხრე თუ მოწინააღმდეგეთა შორის (ჰო, აბა, რა – იორმუღანლოელი აზერბაიჯანელები, რომელთა ხმებითაც გააყალბეს არჩევნები, სულ იმას ფიქრობენ, როდის შევა საქართველო ნატოში!), როგორც უნდათ, წარმოგვიდგინონ რესპებმა, არამედ ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალებს, გნებავთ, ერთნაირსქესიანთა ქორწინების მომხრე-მოწინააღმდეგეთა შორის, ირმა ინაშვილმა ბეჭებზე გააკრა ბუდარიხა თამარ ხიდაშელი.

აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისედაც პოლიტიკურ საფლავში მწოლ რესპებს, **"პატრიოტთა ალიანსმა"** მიწა მიაყარა და მომავალში ამ ნეოლიბერალ ხლისტებს, ივანიშვილი კი არა, ილია ჭავჭავაძე რომ ადგეს საფლავიდან, ისიც ვერ უშველის.

**დავით მხეიძე**

# ელიზბარ ჯაველიძე: ვიზა-ლიბერალიზაცია საქართველოსთვის დამღუპველია!

აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე, აკადემიკოსი, ელიზბარ ჯაველიძე გვესაუბრება.

**– ბატონო ელიზბარ, ათ დღეზე მეტია „პატრიოტთა ალიანსის" ინიციატივით მოშიმშილეთა აქცია იმართება კანცელარიის წინ. მათ დღითიდღე ემატებათ მხარდამჭერები. მიუხედავად იმისა, რომ მოშიმშილეთა მოთხოვნა სამართლიანია, მთავრობის მხრიდან არანაირი რეაგირება არ ჩანს. როგორ შეაფასებთ ამ ვითარებას?**

– ეს ვითარება, ყოველმხრივ უმძიმესია. მე ვერ ვხვდები, ასე რატომ იქცევა ხელისუფლება, რომელიც ხალხმა აირჩია. ყველა ხელისუფლება, თავად მიხეილ სააკაშვილისაც კი, მოშიმშილეებს ყურადღებას აქცევდა. მთავრობას, მათთან საუბარსა და საერთო ენის გამონახვაში, ხელს არაფერი არ უშლის, გარდა ხელისუფლების ნებისა.

საგარეჯოს არჩევნები იყო სრულიად გაყალბებული და ეს ბოლო მონაცემებიდანაც ჩანს. ხიდაშელმა მხოლოდ 500 ხმით გაიმარჯვა და ეს, სწორედ ის 500 ჯარისკაცის ხმაა, რომელზეც ქალბატონმა თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა უკანონოდ მოახდინა დისლოკაცია. დისლოკაციის დროს აუცილებლად უნდა იყოს პრეზიდენტის ბრძანება და ყველა უწყების შეტყობინება. რა თქმა უნდა, ეს არ მომხდარა და ამით მათ ერთხმად მიიღეს ეს ხუთასი ხმა. იმის არ აღიარება, რომ არჩევნები გაყალბდა და ის, რომ მოშიმშილეთა სამართლიან მოთხოვნებს ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს, მე მიქმნის იმის შაბეჭდილებას, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, დიდი ალბათობით გაყალბდება!

**– დიდი აჟიოტაჟია ატეხილი საქართველოსთვის ვიზა-ლიბელარიზაციის მიცემასთან დაკავშირებით. მთავრობამ ღიად განაცხადა, რომ ამას ხელს უშლიან „ნაციონალური" რეჟიმის წარმომადგენლები. დასახელდა კონკრეტული გვარებიც. როგორ ფიქრობთ აქვთ თუ არა მათ საკმარისი ბერკეტები ხელი შეუშალონ ამ პროცესს და საერთოდ რას მისცემს ვიზა-ლიბერალიზაცია საქართველოს?**

– მე პირადად ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესი საქართველოსთვის დამღუპველად მიმაჩნია და ის არავითარ სარგებლობას ჩვენს ქვეყანას არ მოუტანს! საქართველო ხომ ისედაც დაცლილია – მილიონ ნახევარი ადამიანია გასული და კიდევ მილიონი გავა, და თუკი ჩვენ მივიღებთ სირიელებს, აფრიკელებს და ა.შ საქართველოს მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდება. აი ეს არის, ის პრინციპი, რომელსაც აშშ-ის საჯარო პოლიტიკა ახორციელებს და მთლიანად გამიზნულია ქართველი ერის გასანადგურებლად. თუკი **„ნაციონალები"** ამას აპროტესტებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ ჩათვლა არ მიიღოს.

**– როგორ შეაფასებთ პაატა ბურჭულაძის შესაძლო შემოსვლას ქართულ პოლიტიკაში. თქვენი აზრით იქნება ის ახალი პოლიტიკური ძალა, რომლის აუცილებლობაც ხშირად ისმის საზოგადოების მხრიდან?**

– პაატა ბურჭულაძე, როგორც ახალი პოლიტიკური ძალა და ახალი სიტყვა ქართულ პოლიტიკაში, ვერაფრით ვერ იქნება. როგორც ყველა ხელოვანის, ისე პაატა ბურჭულაძის ხასიათიც ძალიან ცვალებადია. ქარი საითაც დაუბერავს, ისიც იქით იხრება. მისი გამოჩენა პოლიტიკაში, ჩვენს ქვეყანას არავითარ წარმატებას არ მოუტანს გარდა უარყოფითისა, თუნდაც იმიტომ, რომ ის **„რუსთავი 2"**-ს უჭერდა მხარს!

**ესაუბრა მედეა შელია**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# აირტონ სენა — მონაკოს უგვირგვინო მეფე



დაიბადა 1960 წლის 21 მარტს მდიდარი ბრაზილიელი მიწათმფლობელის ოჯახში. მამა ბავშობიდან უწყობდა ხელს პატარა ბიჭის ავტოსპორტით გატაცებას. აირტონი თავისი პირველი კარტის (პატარა სარბოლო ავტომობილი ძარის გარეშე) საჭეს 4 წლის ასაკში მიუჯდა.

სულ თავისი 10-წლიანი კარიერის მანძილზე მან 41 რბოლა მოიგო. მის მაგალითზე ბევრი ცნობილი მრბოლელი სწავლობდა, მშობლიურ ბრაზილიაში კი სულაც კულტად იქცა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ყველა დროის საუკეთესო პილოტის დაღუპვიდან 20 წელზე მეტი გავიდა. საშინელი ტრაგედია 1994 წლის 1 მაისს მოხდა. პრესისგან მან მიიღო მეტსახელები: **"ჯადოქარი", "წვიმის კაცი"** და **"მონაკოს უგვირგვინო მეფე",** რადგან დღემდეც ვერავინ შეძლო გაემეორებინა გამარჯვებათა რეკორდი მის საყვარელ და ლეგენდარულ მონაკოს ურთულეს ტრასაზე.

1984 წლის სეზონში, როცა სენა ფორმულა-1-ში მოვიდა, პირველი წვიმიანი რბოლა იყო მონაკოს გრან-პრი, რომელიც კარგი ამინდის დროსაც ძნელად ითვლება, რადგან გადის ქალაქის ქუჩებში. სენამ, რომელსაც არცთუ საუკეთესო მანქანა ჰყავდა (ამერიკული Toleman TG184) მე-13 პოზიციიდან აიღო სტარტი. როცა 31-ე წრის შემდეგ წვიმის გაძლიერების გამო რბოლა შეწყდა, სენა მეორე პოზიციაზე იმყოფებოდა და სწრაფად ეწეოდა წინ მიმავალ ალენ პროსტს. ეს ძალზედ უცნაური იყო მონაკოსთვის, სადაც გასწრება მეტად გაძნელებულია და მშრალ ტრასაზეც ხშირად მთელი რბოლის მანძილზე არც ერთი გასწრება არ ხდება.

თავისი პირველი მოგება 1985 წელს ეშტორილის ტრასაზე სენამ ასევე ძლიერი წვიმის პირობებში მოიპოვა, როცა მეორე პოზიციაზე მყოფმა ალენ პროსტმაც კი ვერ დაიმორჩილა მანქანა — დაბზრიალდა და კედელს შეეჯახა. მეორე რბოლა, რომელიც სენამ 1985 წელს მოიგო — ბელგიის გრან-პრი, ასევე წვიმაში მიმდინარეობდა. მას შემდეგ სენამ არაერთი საინტერესო რბოლა ჩაატარა წვიმაში, რომლებიც დაამახსოვრდათ ექსპერტებსაც და გულშემატკივრებსაც.

სარბოლო ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მეტრი, ავსტრალიელი პოლ ტრეტჰარტი იტყვის: **"მე ბევრი პილოტი მინახავს ცხოვრებაში. მაგრამ ეს — განსაკუთრებულია. საქმე მარტო ის არ არის, რომ სენა მანქანის ტარების გენიოსია, აირტონთან ნაცნობობით შემეძლო მეამაყა ის საშუალო მრბოლელიც რომ ყოფილიყო — რბილი, ჭკვიანი, გასაოცრად ინტელიგენტური ადამიანი, ვისთანაც საათობით შეიძლება საუბარი ათას რამეზე ისე, რომ არც ფორმულა-1-ს და არც ავტოსპორტს სერთოდ არ შეეხო".**

ფორმულა-1-ში უკვე თავის მესამე სეზონში სენა გახდა უმაღლესი ტიტულის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი. მსოფლიოს ჩემპიონები პიკე და პროსტი, თვით მენსელიც, რომლისთვისაც არ არსებობდა არანაირი ავტორიტეტი, ღიად უფრთხოდნენ **"ლოტუსის"** პირველ ნომერს, სენას უკვე სულ უფრო ხშირად უწოდებდნენ ბრაზილიელ ჯადოქარს

1981 წელს აირტონი დაქორწინდა თავის ძველ შეყვარებულზე — ლილიან დი ვაშკონსელუშ სოუზაზე. მათ ბევრი საერთო ინტერესი ჰქონდათ, რაღაც დროის მანძილზე ისინი რბოლებშიც კი ერთად მონაწილეობდნენ, თუმცა მათი ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა — 1983 წელს გაიყარნენ.

ორივე აღიარებდა, რომ სენა რბოლებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მეუღლეობისთვის ვერ იცლიდა. მას შემდეგ აირტონს საკმაოდ ბევრი რომანი ჰქონდა, მაგრამ ქორწინებამდე საქმე აღარ მისულა.

აირტონ სენა თავისი დროის აღიარებული ოსტატი იყო კვალიფიკაციაში. ფორმულა-1-ში თავისი კარიერის მანძილზე მან კვალიფიკაციაში პირველი ადგილი 65-ჯერ დაიკავა, რაც იმ დროისთვის რეკორდი გახლდათ. ამ რეკორდმა მისი სიკვდილის შემდეგაც 12 წელს გაძლო და მხოლოდ მიხაელ შუმახერმა შეძლო მისი დამხობა 2006 წელს სან მარინოს გრან-პრიზე. არადა, შუმახერს ამისთვის 236 რბოლაში მონაწილეობა დასჭირდა, მაშინ როცა სენამ თავის კარიერაში სულ 162 რბოლაში აიღო სტარტი. მარტო აირტონს შეეძლო აეღო სტარტი ბოლო ადგილიდან, ყველასთვის გაესწრო და გაემარჯვა, როგორც ეს იაპონიის გრან-პრიზე სუზუკას ტრასაზე მოხდა.

ტრასაზე სენა იყო უკიდურესად მიზანსწრაფული და მუდამ ცდილობდა მოგებას, რა დროსაც მანქანას შესაძლებლობის ზღვარზე მართავდა. ბევრი მისი ტარების სტილს მეტად სახიფათოდ თვლიდა. ტრასის გარეთ კი სენა გამოირჩეოდა რბილი ხასიათით, იყო ჰუმანური და რელიგიური ადამიანი. ის ძალიან მიმზიდველი ადამიანი იყო, რისთვისაც უყვარდათ ჟურნალისტებს და გულშემატკივრებს მთელ მსოფლიოში. ბევრი, ვინც მას მიმართავდა, აღნიშნავდა რომ სენას ღიმილსა და ხმას თითქმის ჰიპნოზური მოქმედება ჰქონდა.

სენა მილიონობით დოლარს სწირავდა ბრაზილიაში სიღარიბესთან ბრძოლას და ამ საქმეს მთელი თავისი ქონებაც უანდერძა (რომელიც მისი სიკვდილის დროისთვის 400 მილიონ დოლარად ფასდებოდა). სიცოცხლის დროს აირტონი ერიდებოდა ამ თემაზე საჯაროდ საუბარს და მისი შემოწირულობების შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფრენკ უილიამსმა, ვის გუნდშიც გაატარა სენამ თავისი ბოლო სეზონი, განაცხადა: **"აირტონი ძალიან არაორდინალური პიროვნება გახლდათ — სინამდვილეში ის რბოლებს გარეთ გაცილებით დიადი ადამიანი იყო!"**

1994 წლის 1 მაისს სან მარინოს გრან-პრიზე სტარტის წინ სენამ ხელი ჩამოართვა თავის მუდმივ მეტოქე პროსტს, რომელმაც უთხრა: **"ჩვენ ვიყავით მეტოქეები და უფრო მეტიც ჩვენ არ ვყოფილვართ მეგობრები, მაგრამ შეიძლება მომავალში გავხდეთ".** მე-7 წრეზე ენცო და დინო ფერარის სახელობის ტრასაზე რბოლის ლიდერი აირტონ სენა თავისი "uiliams FW16"-ით შევიდა ე.წ. **"ტამბურელოს"** მკვეთრ მარცხენა მოსახვევში. მოსახვევის პიკის გავლის შემდეგ ის მოულოდნელად მოწყდა ტრასას, გადააფრინდა უსაფრთხოების 80-მეტრიან მოხნულ ზონას და ბეტონს შეეჯახა. ტელემეტრის მონაცემებით, შეჯახების მომენტში სისწრაფე 220 კმ/სთ-ს შეადგენდა.

ტრაგედიამ ნამდვილი შოკი გამოიწვია. ბრაზილია გლოვამ მოიცვა. პრეზიდენტმა იტამარ ფრანკუმ ქვეყანაში 3-დღიანი გლოვა გამოაცხადა და ოფიციალური შეხვედრები გააუქმა. საგარეო საქმეთა მინისტრი სელსო ამორიმი ცდილობდა დაეჩქარებინა სენას სხეულის სახლში ტრანსპორტირება და ამისთვის თავისი თვითმფრინავი შესთავაზა. იტალიაში ჰოსპიტლის კარებთან 30.000 ადამიანი შეიკრიბა. არავის სურდა დაჯერება. სენას სიკვდილით დასრულდა ფორმულა-1-ის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ეტაპი. ეს იყო ნამდვილი ეროვნული გლოვა. დაკრძალვას დაესწრო 4,5 მილიონი ადამიანი. ის დაკრძალეს როგორც ეროვნული გმირი. მისი და ვივიანი იხსენებს, რომ არ არსებობს ბრაზილიაში ადამიანი, რომელსაც ეს დღე არ ახსოვს, აირტონი სულ 34 წლის იყო.

აირტონ სენას საფლავი სასაფლაო მორუმბიზე მომლოცველთა ადგილად იქცა. მას უფრო მეტი ადამიანი ნახულობს, ვიდრე ერთად აღებული ჯონ კენედის, მერილინ მონროსა და ელვის პრესლის საფლავებს. ბევრი პილოტი მიდის საფლავზე ბრაზილიის გრან-პრის ჩატარებისას. საფლავის ქვაზე წარწერა კი ციტატაა წმინდა პავლეს წერილიდან რომაელებისადმი **"არაფერს შეუძლია დამაშოროს მე ღვთის სიყვარულს".** სენას სახელი უწოდეს მრავალ ქუჩას ბრაზილიის სხვადასხვა ქალაქში, გზატკეცილს სანპაულუს პროვინციაში, ასევე ორ ავტოდრომს (ქალაქ კარუარუსა და ქალაქ ლონდრინასთან), რომლებზეც ტარდება ბრაზილიისა და სამხრეთ ამერიკის სარბოლო ჩემპიონატები.

მის სახელს ატარებს ბრაზილიის ინტერლაგოსის ავტოდრომზე პირველი Sikana (ანუ S ის მსგავსი მოსახვევების ერთობლიობა სარბოლო ტრასაზე), სადაც ფორმულა-1-ის ერთ-ერთი ეტაპი ტარდება. ასევე მისი სახელს ატარებს S ის უამრავი მსგავსი მოსახვევები ( S do Senna) სხვა ავტოდრომებზეც. მაგალითად, ავსტრალიაში, მელბურნ-პარკის ავტოდრომზე მისი სახელი ჰქვია ერთ-ერთ უკანასკნელ მოსახვევს, კანადაში კი პირველ შიკანას.

გარკვეული ხნის შემდეგ ტამბურელოს მოსახვევის სიმკვეთრე შეამცირეს, ბეტონის დამცავი კედელი აიღეს და სანაცვლოდ, ხრეშის ღრმა დამჭერი ხაფანგი შექმნეს. 1996 წელს ტამბურელოს მოსახვევთან დაიდგა აირტონ სენას ძეგლი.

**დუდანა ზაქარაია**

# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.**

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

ბრმა ნაწლავის ოპერაციის წინ ავადმყოფი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ოპერაციის შემდეგ ვიოლინოზე დაკვრა შემეძლება?
– დიახ, შეგეძლებათ!
– ნამდვილად იცით?
– დიახ, ნამდვილად!
– რა კარგია! აქამდე არ დამიკვრია, ახლა კი, ესე იგი, შემეძლება!

* * *

თბილისში, რუსთაველის გამზირზე გურული აკრძალულ ადგილზე გადადის. უსტვენს პოლიციელი:

– სად მიდიხარ, აქ ხომ გადასვლა არ შეიძლება?
– სად მივდივარ და შვილთან!
– შვილთან, თორემ ეგეც მინისტრი არ იყოს!
– მინისტრი არაა, მარა არც შენსავით უფშვიტინებს ქუჩაში!

* * *

– ვითომ სამსახურის პრობლემები არ მყოფნიდეს, თქვენც ცხვირჩამოშვებულები მხვდებით... – ბუზღუნებს შინდაბრუნებული ქმარი.

– კარგი, ბატონო, – პასუხობს ცოლი, – სასიამოვნო ამბით დავიწყებ. ჩვენი ექვსი შვილიდან ხუთს არც ხელი მოუტეხავს და არც ფეხი.


**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**




დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge